ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

4 ივლისი **ხუთშაბათი** 2013

№155 (14 071) ფასი 80 თეთრი



ინტერვიუ ჯანო ანანიძესთან 3

## სპარტაკიდან როსტოვში

როგორც იქნა, **ჯანო ანანიძისა** და მოსკოვის "სპარტაკის" გზები გაიყარა. თუმცა დედაქალაქურ კლუბს ქართველი ნახევარმცველი არ გაუყიდია, იგი "როსტოვში" გაანათხოვრა.

"როსტოვმა" განვლილ პრემიერლიგაში მე-13 ადგილი დაიკავა და უძლიერესთა შორის პლეი ოფის მოგებით დარჩა. პლეი ოფში "როსტოვმა" **გიორგი დარასელიას** მიერ განვრთნილ "სკა-ენერგიას" აჯობა.

შეთანხმების მიხედვით, იჯარა ნახევარწლიანია. "სპარტაკს", სურვილის შემთხვევაში, ჯანოს დაბრუნება ზამთარშივე შეეძლება, თუ არადა, ანანიძე სეზონს "როსტოვში" ჩაამთავრებს.

შეგახსენებთ, ქართველის შეძენა არნემის "ვიტესს" სურდა, იჯარით კი პირველლიგელი "ურალი" იყო დაინტერესებული.

ჯანო "სპარტაკის" პირველ გუნდში 2009 წლიდან თამაშობს და ამ ხნის განმავლობაში, მოსკოველთა შემადგენლობაში 61 ოფიციალური მატჩი ჩაატარა და 8 გოლი გაიტანა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ოქროს ამბავი მაკედონელის სამშობლოდან

# იაკობმა ევროპა გადათელა



ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი 12

# დღეს: ერთი ნაბიჯი უკან, ხვალ: ორი ნაბიჯი წინ

## ევროსტარტი






2-3

# დიდგულა სლოვაკები და მეოცნებე ჯუჯები

**სოსო ფრუიძე (ჩიხურა):** ეს თამაში უნდა მოვიგოთ!

**ჯორჯო კონტინი (ვადუცი):** კარგი იქნება გოლს თუ გავიტანთ!

**ადრიან გულა (ჟილინა):** ტორპედოს კონტრიერიშებით უნდა ვაჯობოთ

**ჟერარდ სარაგოსა (ტორპედო):** ვიცით კონტრშეტევის წამალი

**ჩიხურა-ვადუცი**

**ტორპედო-ჟილინა**

ინტერვიუ მილტონ ჰეიგთან

# ძლიერმა მეტოქეებმა იციან, რომ ბოლო 20 წუთში...



13

ევროპალიგა. ტორპედო


„ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელი ჟერარდ სარაგოსა (მარჯვნივ) იმედიანადაა

## ჟერარდ სარაგოსა:
# ფავორიტი ჟილინაა, მაგრამ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ

დღეს, ქუთაისის „ტორპედო“ ევროპალიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩში სლოვაკეთის თასის ფინალისტს „ჟილინას“ დაუპირისპირდება. მოგეხსენებათ, გასული სეზონის შემდეგ, ქუთაისურ გუნდში დიდი ცვლილებები მოხდა. შეიცვალა მწვრთნელთა შტაბი და ფეხბურთელთა უმეტესობა. **გია გეგუჩაძის** ნაცვლად, გუნდს „ლოკომოტივის“ ყოფილი თავკაცი **ჟერარდ სარაგოსა** წვრთნის, „ტორპედოს“ ძირითად ბირთვს კი ახალგაზრდა ფეხბურთელები წარმოადგენენ. ყოველივე ამან ქუთაისელ გულშემატკივრებში ნეგატიური დამოკიდებულება გამოიწვია. გუნდის ფანები კლუბის პოლიტიკით უკმაყოფილონი არიან და ხვალინდელ მატჩსაც პესიმისტურად ხვდებიან. მათი თქმით, ქუთაისში ფეხბურთი უკან მიდის და დღევანდელი გუნდით ევროთასებზე დიდი სირცხვილი გველის.

საპირისპირო პოზიცია აქვთ კლუბის თავკაცებს. „ტორპედოს“ აღმასრულებელი დირექტორი **გიორგი პაპიაშვილი** ამბობს, რომ ხვალინდელ შეხვედრაში გუნდი ბოლომდე იბრძოლებს, ფეხბურთელები ყველაფერს გაიღებენ თამაშის მოსაგებად და ქომაგის დამოკიდებულებაც შეიცვლება.

„ტორპედოს“ მატჩისწინა ვარჯიში 19:00 საათზე დაიწყო. მცირეხნიანი მოთელვის შემდეგ, ქუთაისელთა სარაგოსამ ფეხბურთელები კარში დარტყმებში ავარჯიშა, ბოლოს კი გუნდი შუაზე გაყო და მოედნის ნახევარზე ორკარა ათამაშა. ქუთაისელთა განაცხადში მყოფი ყველა ფეხბურთელი მწყობრშია და ხვალინდელ მატჩს მზადყოფნაში ხვდება. ვარჯიშის დასრულების შემდეგ, სტადიონზევე გაიმართა პრესკონფერენცია.

დღევანდელი მატჩის წინ, სარაგოსა საკმაოდ ოპტიმისტურად არის განწყობილი: „ვფიქრობთ, გუნდი კარგად არის მომზადებული. ავსტრიაში საკმაოდ ნაყოფიერი შეკრება გავიარეთ. იმედი მაქვს, რომ ეს შედეგს გამოიღებს არა მარტო ხვალინდელ მატჩში, არამედ განმეორებით შეხვედრაშიც. ყველაფერს გავიღებთ, რომ ორი მატჩის ჯამში გამარჯვება ჩვენ დაგვრჩეს“.

**- მეტოქეზე რას იტყვით?**

- „ჟილინა“ ევროპაში ცნობილი კლუბია, რამდენიმე წლის წინათ, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ისეთ გუნდებთან ითამაშა, როგორიც „ჩელსი და „მარსელია. ძლიერი გუნდია, მაგრამ ჩვენ ეს არ გვაშინებს. „ჟილინა“ კარგად გვყავს შესწავლილი, ავსტრიაში მათი ორი მატჩი ვნახეთ და ვიცით, როგორ უნდა ვეთამაშოთ. საბანაძის გარდა, რომელიც ტრავმის გამო გამოგვაკლდა, ყველა ფეხბურთელი მწყობრშია და ხვალინდელი მატჩისთვის სრული დატვირთვით ემზადება.

**- როგორ ფეხბურთს უნდა ველოდოთ „ტორპედოსგან?**

- მე შემტევი სტილის მოყვარული ვარ და ჩემი ხელმძღვანელობით „ტორპედო“ შეტევაზე ორიენტირებული გუნდი იქნება. ვიცით, რომ „ჟილინას“ კარგად ეხერხება კონტრშეტევებზე თამაში, მაგრამ ჩვენ ამისთვისაც მზად ვართ.

**- „ჟილინას“ მთავარი მწვრთნელი ხვალინდელ მატჩში გამარჯვებას გეგმავს...**

- ეს არც არის გასაკვირი. „ჟილინა“ განთესილებში მეორე პოზიციაზე იყო და ამ წყვილში ფავორიტი სწორედ ის არის, მაგრამ ჩვენც გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ.

ბოლოს გაგაცნობთ ქუთაისელთა 22-კაციან განაცხადს: **მიგინეიშვილი, ქვილითაია, კუპატაძე, ჭანტურია, ჭელიძე, ტაბატაძე, ჩიტეიშვილი, მთივლიშვილი, გაბაძე, სანდოხაძე, გიგაური, ფირცხალავა, ცინცაძე, ახვლედიანი, გოროზია, მზევაშვილი, კუხიანიძე, ტულუში, კაპანაძე, ფანცულაია, ბარაბაძე, ჯიქია.**

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან



თბილისი. მ. მესხი. 18:00
**ჩიხურა-ვადუცი**
საქართველო — ლიხტენშტაინი
პირდაპირი რეპორტაჟი | არხზე

ევროპალიგა. ჩიხურა

## სოსო ფრუიძე:
# დიახ, უნდა შევუტიოთ

**დღეს, 18:00 საათზე, უეფას ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე საჩხერის „ჩიხურა“ ლიხტენშტეინის „ვადუცს“ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე დაუპირისპირდება.**

**გუშინ ვაკის არენაზე ჯერ „ჩიხურამ“ ივარჯიშა, შემდეგ კი „ვადუცმა“, პაუზებში კი ორივე გუნდის მთავარი მწვრთნელი მედიას გაესაუბრა.**

**სოსო ფრუიძე, “ჩიხურა”:**

- გუნდში კარგი განწყობაა. ევროტურნირზე პირველად გამოვდივართ და ვფიქრობთ, რომ ეს დიდი სტიმულია. შეთამაშება არ უნდა გაგვიჭირდეს, რადგან ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ჩვენი ახალწვეულები ევროსარბიელზე საკმაოდ გამოცდილები არიან. მიმაჩნია, რომ კარგი დასაწყისი გვექნება. გვაქვს ინფორმაცია, რომ მეტოქე შეტევაზე ორიენტირებულია. თუმცა, ზუსტად მაინც არ ვიცით, “ვადუცი” რა გუნდია.

**- შანსებს როგორ შეაფასებთ და რა იქნება თქვენი პროგრამა-მინიმუმი?**

- სულ 20 დღეა, რაც გუნდი ემზადება და ჯერ მოთამაშეები სათანადო კონდიციებში არ არიან. თუმცა, ამის გამო, მომზადების ფორსირება არც მიცდია, რადგან წინ ჩემპიონატია, მოთამაშეებმა კი ენერგია მთელ სეზონზე უნდა გადაანაწილონ. გორის “დილასთან” საკონტროლო შეხვედრაში გუნდს ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. ბიჭების გამოცდილება მაძლევს იმედს, რომ ამ ეტაპს დავძლევთ. ძალიან კარგი ფეხბურთელები დავიმატეთ. ჩემი აზრით, იგივე ჯილაური პირველ ლიგაში თამაშს არ იმსახურებდა. მოვიყვანეთ გამოცდილი რატი წინამძღვრიშვილი და შეტევაში მისი იმედი გვაქვს.

**- კარში ვის დააყენებთ?**

- ორივე მეკარეს ვენდობით, მაგრამ გიორგი სომხიშვილი უფრო გამოცდილია და მას ვათამაშებთ.

**- შემტევ ტაქტიკას აირჩევთ?**

- თამაში მოსაგებია და უნდა შევუტიოთ, მაგრამ კარის უსაფრთხოებაც არ უნდა დაგვავიწყდეს.

**ჯორჯო კონტინი,** “ვადუცი”: *“მეტოქის თამაში ვნახე, საკმაოდ ტექნიკური გუნდია, რომელიც შეტევაში სწრაფად გადადის. თუმცა, ისიც ვიცი, რომ გასული სეზონის შემადგენლობიდან ბევრი წავიდა. ჩვენ კი კარგად მოვემზადეთ, რადგან შვეიცარიის ჩემპიონატი მალე იწყება და ფორმაში უნდა ვიყოთ. გუნდში ლიხტენშტეინის ნაკრების 5 წევრი გვყავს. რაც შეეხება შანსებს, ამაზე ლაპარაკი ძნელია. თუმცა დაცვიდან ვითამაშებთ და კარგი იქნება, გოლს თუ გავიტანთ”.*

ბოლოს საჩხერელთა მოთამაშეებსაც გავესაუბრეთ:

**დავით ოდიკაძე:** *“ამ გუნდის წინააღმდეგ ხუთი წლის წინათ თბილისის “დინამოში” ვითამაშე. კარგად მახსოვს, მოგების მიუხედავად, „კერკეტი კაკალი“ გამოდგა. ვიცით, რომ ახლაც საკმაოდ გაძლიერდა. და მაინც, ჩვენ მოგება გვჭირდება და ხუთი წლისწინანდელი შედეგის იმედი მაქვს. უეფაზე დებიუტანტები რომ ვართ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მხოლოდ მონაწილეობით დავკმაყოფილდებით. რაც შეიძლება შორს უნდა წავიდეთ. საჩხერელი ქომაგები მოდიან და მათი გახარება გვინდა”.*

**გოგა დათუნაიშვილი:** *“მეტოქეზე მხოლოდ ის ვიცით, რომ შარშანდელთან შედარებით გაძლიერდა და ალბათ, ნორმალური ევროპული გუნდია. თუმცა, მოსაგებად ვიბრძოლებთ”.*

**რატი წინამძღვრიშვილი:** *“შეკრება დაგვიანებით დავიწყეთ, ახალწვეულები ბევრნი ვართ და შეთამაშება გვაკლია. ამის მიუხედავად, დრო მაქსიმალურად კარგად ავითვისეთ და მიმაჩნია, რომ საკმაოდ კარგი გუნდი შეიკრიბა. “ვადუცთან” მოგებისთვის მაქსიმუმს გავაკეთებთ და მჯერა, გავიმარჯვებთ”.*

**მერაბ მამულაშვილი**
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები


სოსო ფრუიძე


„ჩიხურამ „ გუშინ ვაკეში ივარჯიშა


ჯორჯე კონტინი


ლიხტენშტაინელთა [illegible]

ტორპედოს მეტოქე ჟილინა

# გულა დიდ გულზეა: უნდა მოვიგოთ!

ქუთაისი. ტორპედო. 21:00
**ტორპედო-ჟილინა**
საქართველო — სლოვაკეთი
პირდაპირი რეპორტაჟი | არხზე

ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ქუთაისის „ტორპედო“ სლოვაკეთის ერთ-ერთ ყველაზე ტიტულოვან გუნდს „ჟილინას“ დაუპირისპირდება, რომელიც ორი წლის წინათ, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზეც გამოდიოდა, წლეულს კი ევროტურნირის საგზური ქვეყნის თასის გათამაშების ფინალში გასვლით მოიპოვა (ბრატისლავას „სლოვანთან“ 0:2 დამარცხდა). პირველი მატჩი დღეს, 4 ივლისს, ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე 21:00 საათზე დაიწყება, საპასუხო შეხვედრა კი 11 ივლისს ჟილინაში გაიმართება.

სლოვაკების 35-კაციანი დელეგაცია ქუთაისში 2 ივლისს, ექვს საათზე ჩამოფრინდა და ბინა წყალტუბოში მდებარე სასტუმროში დაიდო. სტუმრების მთავარმა მწვრთნელმა **ადრიან გულამ**, რომელიც „ჟილინაში“ ერთი თვის წინათ, სლოვაკური „ტრენჩერიდან“ გადავიდა, ქუთაისში შემდეგი ფეხბურთელები იახლა:

მეკარეები - **მარტინ დუბრავკა, ემილ ლეგიანკი;**

მცველები - **სერგე აკაკპო** (ტოგო), **ვლადიმირ ლეიტნერი, იოზეფ პიაჩეკი** (კაპიტანი), **ალი სისაი** (გამბია), **დენის ვავრო, ადრიან კადლეცი, ერნესტ მაბუკა** (კამერუნი);

ნახევარმცველები - **მიროსლავ კაჩერი, ადამ ჟილაკი, ვიქტორ პეჩოვსკი** (სლოვაკეთის ნაკრები), **მიხაილ შკვარკა, იაკუბ პაური, ისიაკა ბელო** (ბენინი), **რობერტ პიჩი;**

თავდამსხმელები - **ტომაშ მაიტანი, დავიდ გუბა, რენე დედიჩი, იაროსლავ მიჰალიკი.**

სტუმრებმა პირველი ვარჯიში ჩამოსვლის დღესვე გამართეს, გუშინ, დილის 11 საათზე კი სლოვაკები ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე მივიდნენ და მატჩისწინა წვრთნა ჩაატარეს. მოთელვის შემდეგ, „ჟილინას“ მთავარმა მწვრთნელმა გუნდი 6-6-კაციან ჯგუფებად დაყო. ფეხბურთელები ჯერ ბურთის ორი შეხებით გადაცემაში, შემდეგ კი ერთი შეხებით თამაშში ავარჯიშა. ამან დაახლოებით 20 წუთი გასტანა. ამის შემდეგ. მწვრთნელმა გუნდი ორად გაყო და მოედნის ნახევარზე ორკარა ათამაშა.

„ჟილინამ“ ძალისმიერი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. სლოვაკები ბურთს საკმაოდ კარგად აგორებდნენ და კარშიც შესაშური სიზუსტით ურტყამდნენ. განსაკუთრებით, ტომაშ მაიტანი და რობერტ პიჩი გამოირჩეოდნენ. ეს უკანასკნელი, გასულ სეზონში 16 გოლით „ჟილინას“ საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ათლეტური აღნაგობის სლოვაკები თავითაც კარგად თამაშობდნენ და სტანდარტულ მდგომარეობებსაც მარჯვედ ასრულებდნენ. ორკარას დასრულების შემდეგ, სტუმრებმა სწორედ ფლანგურ ჩაწოდებებსა და თავურ დარტყმებში ივარჯიშეს, ასევე საჯარიმოს მისადგომებიდან კარში დარტყმებსაც ხვეწდნენ. ერთი შეხედვით სტუმრები სისწრაფეში მოიკოჭლებენ, რაც „ტორპედოს“ შეუძლია სათავისოდ გამოიყენოს.

„ჟილინას“ ქუთაისში ორი ჟურნალისტი ჩამოჰყვა. ერთ-ერთი მათგანის - **მირო ანტოლის** თქმით, „ტორპედოს“ მსგავსად, სლოვაკურ გუნდშიც გაახალგაზრდავების პროცესი მიმდინარეობს. „ჟილინაში“ გამოცდილი ფეხბურთელების გვერდით, სლოვაკეთის ასაკობრივი ნაკრებების მოთამაშეებიც არიან და გუნდის საშუალო ასაკი 25 წელია. გასულ წელს, ჩემპიონატში წარუმატებელი ასპარეზობის გამო (მე-7 ადგილი), გუნდს ერთგული ფანები შემოწყრნენ და ამის გამო, „ჟილინა“ ქუთაისში გულშემატკივრების გარეშე ჩამოვიდა. მირო ანტოლმა გუნდის სავარაუდო შემადგენლობაც დაგვისახელა. მისი ვარაუდით, „ჟილინა“ ქუთაისურ მატჩში შემდეგი შემადგენლობით ითამაშებს: დუბრავკა, მაბუკა, პიშჩეკი, ვავრო, სისაი, პეჩოვსკი, მიჰალიკი, პაური, ბელლო, შკვარკა, პიჩი.


ავტორის ფოტოები



ვარჯიშის დასრულების შემდეგ, ქუთაისის ცენტრალური სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში ანდრიან გულა ჟურნალისტების წინაშე წარსდგა. „ჟილინას“ დამრიგებელი ოპტიმისტურადაა განწობილი და აცხადებს, რომ ქუთაისში მოსაგებად ჩამოვიდა. *„მოუთმენლად ველოდები ხვალინდელ მატჩს. „ტორპედო“ საკმაოდ კარგად შევისწავლეთ, ავსტრიაში ქუთაისური გუნდის ორი თამაში ვნახეთ და იმ სლოვაკური გუნდებისგანაც გვაქვს ინფორმაცია, რომლებსაც ქართულ გუნდებთან ჰქონდათ შეხება. ქუთაისში მოსაგებად ჩამოვედით და ვეცდებით, რომ ამოცანა შევასრულოთ“.*

**- როგორ ფეხბურთს ელოდებით მეტოქისგან და რას დაუპირისპირებთ მას?**

- ვიცით, რომ „ტორპედოს“ ესპანელი მწვრთნელი ჰყავს, რომელიც ცდილობს გუნდს კომბინაციური და შემტევი ფეხბურთი ათამაშოს, ამის წინააღმდეგ კი არსებობს იარაღი - ეს არის კონტრშეტევა.

**- რა მდგომარეობაში ხვდება თქვენი გუნდი ხვალინდელ მატჩს?**

- რამდენიმე ფეხბურთელი დაგვაკლდა. ტრავმების გამო ქუთაისში ვერ ჩამოვიყვანეთ ჩმელიკი, ნრავეცი, რიკარდო ნუნიეში, პეტერ ლუპჩი და რომან გერგელი. აქ მყოფთაგან კი ხვალინდელი მატჩისთვის ყველა მზად არის. ჩვენი გუნდი ჩამოყალიბების პროცესშია, „ჟილინას“ მთავარ მწვრთნელად ახლახანს დავინიშნე და „ტორპედოსთან“ ჩემი ოფიციალური დებიუტი შედგება. ამიტომ, ეს მატჩი ჩემთვის ძალზედ მნიშვნელოვანია.

**- ტორპედოს არენაზე რას იტყვით?**

-კმაყოფილი ვარ, ხარისხიანი მინდორია, ყველა წინაპირობაა, რომ კარგი ფეხბურთი ვითამაშოთ. იმედია, ხვალ ტრიბუნებიც სავსე იქნება.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ტრანსფერის შემდეგ


ჯანო ანანიძემ როსტოვი დაინახა

## ჯანო ანანიძე:
# სპარტაკში ჩემი ბოლო სიტყვა ჯერ არ მითქვამს

**მოსკოვის “სპარტაკიდან” “როსტოვში” განათხოვრებულმა ჯანო ანანიძემ ინტერვიუ რუსულ “სპორტ-ექსპრესს” მისცა. მან თავისი სამომავლო მიზნები გაამხილა. როგორც ირკვევა, მომავალში ჯანოს კვლავ “სპარტაკში” სურს თამაში.**

**- “როსტოვში” გადასვლა თქვენთვის მოულოდნელი იყო?**

- არა. გასულ სეზონში დიდი დრო გამიცდა: იყო ტრავმებიც და ოჯახური ტრაგედიაც – მამა დავკარგე... მინდა, ძველ დონეზე ავთამაშდე, ამისთვის კი ძალიან მჭირდება სათამაშო პრაქტიკა. რამდენიმე ვარიანტიდან “როსტოვი” ავირჩიე – იქ ნაცნობი ბიჭებიც არიან, ამასთან, გუნდი სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს და გრანდების წინააღმდეგ დამაჯერებლად გამოიყურება, რაც ძალიან მომწონს. ამბობენ, ზოგჯერ ერთი ნაბიჯით უკან უნდა დაიხიო, რომ მერე ორი წინ გადადგაო. ვიფიქრე და გადავწყვიტე, რომ ჩემთვის ასე სჯობდა.

**- თქვით, რომ სხვა წინადადებებიც გქონდათ. კონკრეტულად?**

- ახლა ამის გახმაურებისგან თავს შევიკავებ. დავძენ, რომ “როსტოვს” უპირატესობა არტიომ ძიუბას ფაქტორის გამოც მივანიჭე. “სპარტაკიდან” “როსტოვში” მასთან ერთად მივდივარ და იქ ორივე სპარტაკული ფეხბურთის დემონსტრირებას შევეცდებით.

**- ვარაუდობდით, რომ “სპარტაკში” კვლავ გექნებოდათ სათამაშო პრაქტიკის პრობლემა?**

- ვფიქრობ, ეს პრობლემა კვლავ შემექმნებოდა. კლუბმა ახალი ფეხბურთელები იყიდა, რომლებიც აშკარად არ დაიმატეს სათადარიგოთა სკამზე დასასმელად. “სპარტაკში” ექვს თვეში, ან ერთ წელიწადში დავბრუნდები და ძირითადში მოხვედრის შანსი ხელახლა მომეცემა.

**- ალბათ, ცოტა მოწყენილი ხართ.**

- არც უამისობაა. ჩემი გული “სპარტაკს” ეკუთვნის, იქ ხომ 15 წლის ასაკიდან ვარ. იქ გავიზარდე, იქ ჩამოვყალიბდი ფეხბურთელად. “სპარტაკში” ჩემი ბოლო სიტყვა ჯერ არ მითქვამს. მომავალში, უბრალოდ, ვალდებული ვარ, “სპარტაკის” ძირითადში დავმკვიდრდე.

**- რა გითხრათ დამშვიდობებისას ვალერი კარპინმა?**

- ბაზაზე ხუთშაბათს მივალ და მთავარ მწვრთნელსა და ბიჭებს მაშინ დაველაპარაკები. თუმცა ვალერი გეორგიევიჩმა უკვე მაგრძნობინა, რომ ჩემი იმედი კვლავ აქვს. მითხრა, ვარჯიში ჩვეულებრივად გააგრძელე და ყველაფერი რიგზე იქნებაო.

**- ახალ კლუბს როდის შეუერთდებით?**

- როსტოვში ძიუბასთან ერთად 5 ივლისს ჩავფრინდები, პირველ ვარჯიშს კი ალბათ, მეორე დღეს ჩავატარებ.

**- მართალია, რომ მომავალი სეზონიდან მაისურზე არა ჟანო, არამედ ჯანო გეწერებათ?**

- მართალია. საქმე ის არის, რომ საქართველოში ჩემი სახელი სწორედ ასე წარმოითქმის. თავის დროზე გაუგებრობა მოხდა, ჟანო რომ მიწოდეს, ახლა კი ჩემი თხოვნით ყველაფერი გამოსწორდება.

მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

ლეგიონერი

# გრიგალავა კრილიაში მადლობით გააცილეს

გუშინ ვწერდით, რომ **გია გრიგალავა** “კრილია სოვეტოვში” ჩაირიცხა. საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ნიჟნი ნოვგოროდის “ვოლგას” მცველმა სამარელებთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. გრიგალავა უკვე “კრილია სოვეტოვში” ვარჯიშობს, რაც კლუბის ოფიციალურმა პრეს-სამსახურმაც დაადასტურა. იქვე ნათქვამია, რომ კლუბებს შორის მოლაპარაკება ზამთარშიც მიმდინარეობდა, მაგრამ მხარეები მაშინ ვერ შეთანხმდნენო. ასევე ვიგებთ, რომ ქართველი ლეგიონერი პირველად ახალი გუნდის ფორმას ეკატერინბურგის “ურალთან” საკონტროლო შეხვედრაში მოირგებს.

23 წლის ქართველი “ვოლგადან” მთელმა გუნდმა გააცილა და ორწლიანი სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა. საინტერესოა, რომ გიას სამარული კლუბის მწვრთნელთა შტაბში ძველი ნაცნობი **სერგეი უსპენსკი** დახვდება, რომლის ხელმძღვანელობითაც იუნიორთა და ახალგაზრდულ ნაკრებში ვარჯიშობდა. შეგახსენებთ, რომ “კრილია სოვეტოვშია” საქართველოს ნაკრების ცენტრალური მცველი **ალეკო ამისულაშვილი**. გიას “ვოლგასთან” კონტრაქტი დეკემბერში უმთავრდებოდა და ცხადია, საინტერესოა, სამარულებმა ტრანსფერში რამდენი გადაიხადეს. არაოფიციალური ცნობით, თანხა მილიონ ევროს აჭარბებს, მაგრამ კლუბები გარიგების დეტალებს არ აკონკრეტებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

## ...და დებიუტიც შედგა

ვარშავის “ლეგია”, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ემზადება, ამხანაგურ მატჩში პრაღის “სპარტას” შეხვდა და 0:1 დამარცხდა. ჩეხებმა გამარჯვების გოლი 48-ე წუთზე გაიტანა, **ლადო დვალიშვილი** კი პოლონელთა შემადგენლობაში 61-ე წუთიდან გამოჩნდა.

“კრილია სოვეტოვმა” ეკატერინბურგის “ურალს” 3:1 სძლია. სამარელთა რიგებში შეუცვლელად ითამაშეს **ალექსანდრე ამისულაშვილმა** და გუნდის ახალწვეულმა **გია გრიგალავამ**.

**ლევან ჯანეზაშვილი**



გია გრიგალავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამზადისი

## დროებით სამტრედიაში

მარტვილის "მერანი" ახალი სეზონისთვის მზადებას განაგრძობს. **მალხაზ ჟვანიას** გუნდი, ჯერჯერობით, მარტვილში ვარჯიშობს, შემდეგ კი სავარაუდოდ, საქართველოს ზღვისპირეთში გადაინაცვლებს.

რამდენიმე დღის წინ "მერანის" ახალწვეულების სია გაგაცანით. შეგახსენებთ, მარტვილელებმა დაიმატეს **მიხეილ ხარშილაძე, თემურ ფარულავა, შოთა ბაბუნაშვილი, გიორგი მელქაძე** და **შოთა კერძევაძე**. თითქოს **ომარ გოგონაიას** ტრანსფერიც გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ფოთის "კოლხეთის" ნახევარმცველი მარტვილში რამდენიმედღიანი ვარჯიშის შემდეგ ძველ კლუბს დაუბრუნდა.

უახლოეს პერიოდში "მერანის" შემადგენლობაში, შესაძლოა, ახალწვეულები კიდევ გამოჩდნენ.

"მერანი" დატოვეს **მიხეილ მუჯირიშვილმა, ვალერი იობაშვილმა, თევდორე ლურსმანაშვილმა, გაგა გუგუნაშვილმა, მამუკა ტორონჯაძემ, ბერდია შარვაძემ** და **ბექა ზაქრაძემ**.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ "მერანს" მარტვილში საშინაო თამაშების ჩატარების უფლება შეუჩერა. სანამ სტადიონსა და მოედანს არ მოაწესრიგებს, კლუბმა მეტოქეებს სხვაგან უნდა უმასპინძლოს.

*"გარკვეული სამუშაოები მიმდინარეობს, მაგრამ ვერ გეტყვით, მოესწრება თუ არა მათი დასრულება ჩემპიონატის სტარტისთვის. თუ ვერ მოესწრო, დროებით სამტრედიაში ან ქუთაისში ვითამაშებთ. უფრო რეალური სამტრედიის ვარიანტია"*, - გვითხრა მალხაზ ჟვანიამ.

პირველ საკონტროლო მატჩს "მერანი" 13 ივლისს წყალტუბოს "სამგურალთან" გამართავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ნემსაძე გამოირიცხა, კიკნაძე რეალურია

ბოლნისის "სიონი" გუშინ, "მცხეთა პარკზე" "ვიტ ჯორჯიას" ამხანაგურად შეხვდა და 3:1 დაამარცხა. ქვემოქართლელთა მხრიდან გოლები **მუმლაძემ, კვანტალიანმა** და **ცხადაიამ** გაიტანეს.

"სიონმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **მერლანი, ვ. უგრეხელიძე, თ. უგრეხელიძე, ლ. ჩხეტიანი, ტუხაშვილი, ჯოხაძე, ლემონჯავა, კახაძე, მუმლაძე, უგულავა, ბეროშვილი.**

შეცვლაზე შევიდნენ: **ბათიაშვილი, ისიანი, ცხადაია, კვანტალიანი.**

აღსანიშნავია, რომ მატჩს ესწრებოდა **გიორგი კიკნაძე**. ჩვენი ინფორმაციით, "სიონი" მასთან აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს და შესაძლოა, უახლოეს დღეებში გუნდი სწორედ მან ჩაიბაროს. გუშინ კი "სიონმა" **ჯონი ჯაგიდისის** ხელმძღვანელობით ითამაშა.

შეიტყვეთ ისიც, რომ "სიონის" გაწვრთნაზე უარი თქვა **გიორგი ნემსაძემ.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ზუგდიდი მაინც იკრიბება

ცოტა ხნის წინ, „ზუგდიდის" დირექტორმა **მალხაზ ჭეჟიამ** „ლელოს" გუნდში არსებულ ვითარებაზე ელაპარაკა და თქვა, რომ დაფინანსების საკითხის გაურკვევლობის გამო, შესაძლოა, უმაღლეს ლიგაში ველარ ვითამაშოთ. როგორც ჩანს, პრობლემა გადაწყდა. შევიტყვეთ, რომ გუნდი უახლოეს დღეებში შეიკრიბება. მთავარი მწვრთნელის ვინაობა ჯერ კიდევ უცნობია, მაგრამ გუნდში გვითხრეს, რომ სავარაუდოდ, "ზუგდიდს" ლიტველი სპეციალისტი გაწვრთნის.

**მერაბ მამულაშვილი**

დინამო. ავსტრიული შეკრების შეჯამება

# ევრორეალობა

**დღეს ორი ქართული გუნდი (საჩხერის „ჩიხურა", ქუთაისის „ტორპედო") ევროპის ლიგის საშინაო მატჩებს ჩაატარებს, ორი კვირის მერე კი ევროტურნირების გათამაშებაში გორის „დილა" და თბილისის „დინამო" ჩაერთვებიან. ადრეც აღვნიშნეთ და დღესაც გავიმეორებთ, რომ ევროტურნირების საწყისი ეტაპების წილისყრის შედეგები ქართული გუნდებისათვის არაერთგვაროვანი იყო და ყველაზე მეტად თბილისის „დინამოს" გაუმართლა! ვინც რა უნდა ილაპარაკოს თანამედროვე ფეხბურთში მიმდინარე ძალთა გათანაბრების ტენდენციაზე, რეალობა ასეთია: ჩემპიონთა ლიგაზე ხუთწლიანი პაუზის მერე დაბრუნებული თბილისის „დინამო", უბრალოდ, ვალდებულია მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი დაძლიოს! ჰო, მნიშვნელობა არა აქვს, საქართველოს ჩემპიონს მეორე ეტაპზე მეტოქედ ვინ ეყოლება (ანდორის „ლუზიტანსი" თუ ფარერების „სტრეიმური"): „დინამოს" ქომაგები რომ უკვე მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ფიქრობენ, ვფიქრობთ, ჩვეულებრივი ამბავი უნდა იყოს. მოკლედ, მშვენიერი შანსია, რომ ჩვენთვის საწყისი ეტაპი უპრობლემოდ გავიაროთ, მაგრამ შემდეგ რის იმედზე უნდა ვიყოთ? ბოლოს და ბოლოს, იმავე მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ხომ ანდორისა თუ ფარერების კი არა, საშუალო და ოდნავ მეტი დონის ევროპული ქვეყნების ჩემპიონთაგანს უნდა ვეპაექროთ?!. არადა, რეალურად რომ ვიმსჯელოთ, მესამე ეტაპის დაძლევა (გამომდინარე იქ მონაწილე გუნდებიდან) სავსებით შესაძლებელია; ამას კი პლეი ოფი მოჰყვება, რაც იმას ნიშნავს, რომ შემოდგომაზე ყველანაირად გარანტირებული გვაქვს... ჯგუფურ ეტაპზე ასპარეზობა: ან — ჩემპიონთა ლიგის, ან კიდევ — ევროპალიგის! თუმცა, ნამეტნავად „წინ წაველით" და ახლა ის ვთქვათ, თუ რამდენად არის მზად საქართველოს ყველაზე ტიტულიანი კლუბი წლევანდელი ევროტურნირებისათვის; უფრო ზუსტად, იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი ეტაპი გაიაროს...**

## შახტარს წაგება გავახსენეთ...

ზემოთ ნახსენები წილისყრისა არ იყოს, ამ შემთხვევაშიც არცთუ დიდი ხნის წინათ გამოთქმულ მოსაზრებას დავუბრუნდებით: ბევრს მიაჩნია, რომ ევროტურნირების დაწყებამდე თბილისის „დინამოს" უფრო მეტი აქტიურობა მართებდა „სატრანსფერო ბაზარზე"; არა, სიახლეები როგორ არ არის: „დინამოში" ჩაირიცხა ნიჭიერი ნახევარმცველი **ელგუჯა გრიგალაშვილი**, ავსტრიულ შეკრებაზე იყვნენ პოტენციური ახალწვეულები **დავით ხურცილავა**, და **გიორგი მიქაბერიძე**, იჯარიდან დაბრუნებული **ირაკლი ლექვთაძე** პლუს რამდენიმე პერსპექტიული ახალგაზრდა ფეხბურთელი („დინამო-2"დან თუ დუბლშემადგენლობიდან). არ დაგვავიწყდეს მეტ-ნაკლებად ყველაზე „ხმაურიანი" შენაძენიც: ცხრაწლიანი პაუზის შემდეგ „დინამოში" დაბრუნდა გამოცდილი **დავით კვირკველია!** თუმცა, კიდევ ვიმეორებთ, რომ ბევრის აზრით, ჩემპიონთა ლიგის წინ „დინამოს" სულ მცირე, ორი-სამი მაღალი კლასის ფეხბურთელით გაძლიერება ნამდვილად არ აწყენდა. ისე, ნუ გამოვრიცხავთ, რომ უახლოეს დღეებში საინტერესო ტრანსფერის ამბავი შევიტყოთ: ავსტრიული შეკრების ბოლოს, გუნდის მთავარი მწვრთნელის **დუშან უჰრინის** კომენტარიც მინიშნებით კი არა, პირდაპირი მნიშვნელობით ამას მოწმობდა. ეგ კი არა, კონკრეტული რგოლიც დაასახელა ჩეხმა სპეციალისტმა („თავდასხმაში გაძლიერება გვჭირდებაო") და ძნელია არ დაეთანხმო დუშან უჰრინს: ავსტრიაში ჩატარებულ ოთხ საკონტროლო მატჩში „დინამომ" მხოლოდ ერთადერთი გოლი გაიტანა! რა თქმა უნად, არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტიც, თუ რა დონის მეტოქეებთან უწევდა სპარინგი ჩვენს ყველაზე ტიტულიან კლუბს; ჰო, „დინამოს" ხელმძღვანელებსა თუ სამწვრთნელო შტაბს ნამდვილად შეეძლოთ ავსტრიაში ისეთი „მეტოქეების" გამონახვა, რომლებთაც ორნიშნა ციფრიანი ანგარიშით დაამარცხებდნენ, მაგრამ ეს ხომ თავის მოტყუება გამოვიდოდა? ანუ, ჩვენი აზრით, სავსებით სწორად იყო შერჩეული ერთმანეთზე ძლიერი ოთხი სპარინგ-პარტნიორი, რომლებთან პაექრობებშიც „დინამოს" თითოეული ფეხბურთელის პლუს-მინუსი ნათლად წარმოჩინდებოდა. საერთოდაც, სეზონისწინა შეკრებაზე ჩატარებული მატჩების შედეგს არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს (მით უფრო, ძლიერ მეტოქეებთან), მაგრამ მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ ალბათ, ბევრი არ ელოდა დონეცკის „შახტართან" გამარჯვებას; გუნდთან, რომელიც, საერთოდ, იშვიათად აგებს (უკრაინის ჩემპიონატში წინა სეზონში მხოლოდ ერთი მატჩი წააგო) და არც ის დაგვავიწყდეს, რომ „შახტარის" გამოცდილმა მწვრთნელმა **მირჩა ლუჩესკუმ** „დინამოს" წინააღმდეგ, ფაქტობრივად, უძლიერესი შემადგენლობა გამოიყვანა! ჰო, ყველანი იყვნენ: **დარიო სრნაც, ტომაშ ჰუბშმანიც**, უკრაინის ნაკრების ფეხბურთელებიც (**პიატოვი, კუჩერი, რაკიცკი**) და, რაღა თქმა უნდა, დონეცკელთა გუნდის სოლიდური ბრაზილიური „დიასპორაც" (**დუგლას კოშტა, ტაისონი, ტეიშეირა, ლუის ადრიანო**)! ანუ, წინა სეზონთან შედარებით, მხოლოდ ორი ლიდერი აკლდათ: „ჩელსიში" 40 მილიონ ევროდ გადასული **ფერნანდინიო** და ასევე ერთ-ერთ გრანდში ჩასარიცხად „გამზადებული" **ჰენრიხ მხითარიანი.** აი, ასეთ მეტოქესთან გამარჯვებას (მერე რა, რომ ამხანაგური მატჩი იყო) მართლაც სხვა ფასი აქვს; თანაც, წაგებას გადაჩვეული „შახტარის" ფეხბურთელები „დინამოსთან" მატჩის მიწურულს აშკარა აგრესიაზეც გადავიდნენ, — ჩემპიონთა ლიგაზე (შინ თუ გარეთ) თითქმის ყველასთან უპრობლემოდ იმარჯვებენ და აი, ჩვენს „დინამოს" ვერაფერი მოუხერხეს...



ავსტრიულ შეკრებაზე „დინამომ" დონეცკის „შახტარს" 1:0 მოუგო

## უპრობლემო რგოლი

„შახტართან" მატჩის ერთ-ერთი გმირი გიორგი ლორია გახლდათ: „დინამოსა" და საქართველოს ნაკრების მეკარემ **დუგლას კოშტას** პენალტიც აუღო და, საერთოდ, ის მატჩი ჩვეულ, მაღალ დონეზე ჩაატარა. ლორიამ ავსტრიულ შეკრებაზე ოთხივე მატჩი ძირითადში დაიწყო, თუმცა ურიგოდ არც მისი დუბლიორი, ახალგაზრდა **თორნიკე ზარქუა** გამოიყურებოდა. განსაკუთრებით „კრასნოდართან" მატჩი გვინდა აღვნიშნოთ, როცა შეცვლაზე შემოსულმა ზარქუამ მეორე ტაიმში, სულ მცირე, ორჯერ გადაარჩინა თავისი გუნდი.

## საიმედო და კონკურენტული გარემო

**დუშან უჰრინი** ძირითად შემადგენლობაში როტაციას იშვიათად (უფრო, გამოუვალი მდგომარეობის გათვალისწინებით) მიმართავს-ხოლმე და ამ მხრივ გამონაკლისი არც ავსტრიული შეკრება იყო (განსაკუთრებით კი დაცვის ხაზის დაკომპლექტება). ისიც სასიამოვნო ამბავია, რომ ამ რგოლში „დინამოში" ერთობ მძაფრი კონკურენციაა: მარჯვენა მცველის პოზიციაზე **გიორგი სეთურიძეს** აქამდე ალტერნატივა თუ არ ჰყავდა, ახლა კონკურენტი გამოუჩნდა **დავით ხურცილავას** სახით (ამ უკანასკნელმა ავსტრიაში 2 მატჩი ძირითადში დაიწყო); მარცხენა ფლანგზე გამოცდილი **დავით კვირკველიას** გამოჩენით **დარკო გლიშიჩის** პოზიციები შესუსტდა, თუმცა მაკედონიელი ფეხბურთელი ხშირად ნახევარდაცვაშიც გვინახავს. რაც შეეხება ცენტრალურ მცველთა „დუეტს", აქ მოულოდნელი არაფერი მომხდარა: გუნდის ერთ-ერთი ლიდერის **გივი კვარაცხელიას** მეწყვილე ორ მატჩში **გიორგი შაშიაშვილი** იყო, დანარჩენ ორში კი — **უსტარიცი.** აქვე, არ დაგვავიწყდეს შაშიაშვილის უნივერსალური თვისებებიც: ამ გამოცდილ ფეხბურთელს დაცვის ხაზში ნებისმიერ პოზიციაზე წარმატებით შეუძლია თამაში. ავსტრიულ შეკრებაზე მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა მოედანზე ახალგაზრდა ცენტრალური მცველი **გიორგი გველესიანი,** რომელმაც წინა სეზონის დასკვნით ნაწილში რამდენიმე მატჩი ძირითადში ერთობ წარმატებულად ჩაატარა. დუშან უჰრინი კმაყოფილი იყო დებიუტანტი მცველების, **ოთარ კაკაბაძისა** და **სანდრო გურეშიძის** მონდომებითაც — 18 წლის ბიჭები პირველად იმყოფებოდნენ შეკრებაზე ძირითად გუნდთან ერთად და უდიდეს გამოცდილებასაც შეიძენდნენ.

## შუახაზს არაფერი დაეტყობა...

ვინც რა უნდა თქვას, დღესაც იმ აზრის ვრჩებით, რომ **მიკელ ალვაროს** წასვლა „დინამოსთვის" უდიდესი დანაკლისია; თუმცა, ავსტრიულ შეკრებაზეც გამოჩნდა, რომ **პეტერ გრაიციარი** „დინამოს" ერთ-ერთ ლიდერად ყალიბდება — სლოვაკ ნახევარმცველს მარჯვნივაც შეუძლია თამაში, მარცხნივაც და საყრდენის პოზიციაზეც ჩინებულად გამოიყურება. დიდი ინტერესით ველოდებით **ირაკლი ლექვთაძის** „დინამოში" დარჩენა-არდარჩენის საკითხსაც — ამ ახალგაზრდა გარემარბს სისწრაფე არ დაეწუნება და ვფიქრობთ, კონკურენციის გაწევაც შეეძლება თავისზე გამოცდილ პარტნიორებთან. კონკურენტი გამოუჩნდა **გიორგი მერებაშვილსაც** — „ტორპედოდან" გადმოსული **ელგუჯა გრიგალაშვილი** „შახტართან" მატჩში სულაც ძირითადში იყო, ორჯერ კი შეცვლაზე შემოვიდა. რაც შეეხება საყრდენებს, ორ ადგილზე სამი ღირსეული კანდიდატია: **ლევან ხმალაძე** და **ირაკლი ძარია** აქამდე თუ შეუცვლელ ფეხბურთელებად მიიჩნეოდნენ, ახლა **გიორგი პაპავას** სახით სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდათ. პაპავამ ორი მატჩი (კიევის „დინამოსთან" და „კლუჟთან" ) ძირითადში დაიწყო და გვჯერა, რომ ეს ახალგაზრდა ბიჭი ოფიციალურ შეხვედრებშიც შეძლებს საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენას.

## ჩინებული დუეტია, მაგრამ...

წესითა და რიგით, ყველაზე უპრობლემო რგოლი თავდასხმა უნდა იყოს: ორი მართლაც გამორჩეული გოლიადორის, **ჩისკოსა** და **ჯაბა დვალის** „დუეტს" ძალიან ბევრი გუნდი ისურვებდა; თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ არც ჩისკოს და არც დვალს, ფაქტობრივად... კონკურენტი არ ჰყავს. ანუ, ჩვენს ჩემპიონატში მხოლოდ ამ ორი შესანიშნავი ფორვარდითაც თუ შეიძლება წარმატების მიღწევა, ევროტურნირებზე ეს საკმარისი არ უნდა იყოს. ისე, ავსტრიაში ეპიზოდურად ჩნდებოდნენ სხვა წინახაზელებიც (**გიორგი მიქაბერიძე, დათა ხოჭოლავა, ლაშა შინდაგორიძე**), მაგრამ ბევრი დაგვეთანხმება, რომ ევროტურნირების მატჩებისთვის „დინამოს" შეტევის ხაზში მრავალფეროვნებასთან ერთად, სულ მცირე, ერთი მაღალკვალიფიციური თავდამსხმელის გამოჩენა საჭირო იქნება. თუმცა, არ გამოვრიცხოთ, რომ არამხოლოდ ახალი ფორვარდი, საერთოდ ახალი ფეხბურთელ(ებ)ი უფრო ადრეც ვიხილოთ „დინამოს" შემადგენლობაში: 7 ივლისს ხომ ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად მოსკოვის „დინამო" უნდა გვესტუმროს...

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ იუნაიტედი




„იუნაიტედის წარმატება ამიერიდან ამ ხალხზეა დამოკიდებული (მარცხნიდან): სტივ რაუნდი, დევიდ მოიესი და ჯიმი ლამსდენი

# მოიესის პრიორიტეტები

1 ივლისს ოფიციალურად შევიდა ძალაში „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და დევიდ მოიესს შორის გაფორმებული ხელშეკრულება. 50 წლის შოტლანდიელმა „აონის სანვრთნელ ცენტრში“ პირველივე დღეს საკუთარი სამწვრთნელო შტაბი წარადგინა სტივ რაუნდის, ჯიმი ლამსდენისა და კრის ვუდსის შემადგენლობით.

იმავე დღეს გამოცემა „დეილი მეილმა“ მოიესს ხუთი მნიშვნელოვანი რჩევა მისცა, რომელიც მას ნამდვილად გამოადგება. მასალას აქვე გთავაზობთ.

## 1. უეინ რუნის მომავალი

სერ **ალექს ფერგიუსონმა** გამოსამშვიდობებელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ გუნდის ერთ-ერთ ლიდერს სხვა კლუბის ნახვა სურდა კარიერის გასაგრძელებლად. ლაპარაკი იყო ფეხბურთელზე, ვინც პროფესიულ კარიერაში პირველი ნაბიჯები სწორედ **დევიდ მოიესის** ხელმძღვანელობით გადადგა.

იმის გათვალისწინებით, რომ **უეინ რუნის** კონტრაქტს, რომლის თანახმად ის კვირაში 250 ათას ფუნტს იღებს, ორ წელიწადში ვადა გასდის, სწორედ მიმდინარე ზაფხული შეიძლება აღმოჩნდეს კლუბისთვის გადამწყვეტი. თუკი მხარეები საერთო ენას ვერ გამონახავენ, „მანიუ“ იძულებული გახდება, გაყიდოს თავდამსხმელი, რათა მასში სოლიდური თანხა მიიღოს. 2004 წლის ზაფხულზე რუნის შეძენა კლუბს 27 მილიონი ფუნტი დაუჯდა. გამორიცხული არ არის, თუკი ფეხბურთელი დარჩენაზე დათანხმდება, კლუბმა მას იმავე პირობებით ახალი, ხანგრძლივი ხელშეკრულება გაუფორმოს.

## 2. ნახევარდაცვის გაძლიერება

მიუხედავად იმისა, რომ „იუნაიტედმა“ უკანასკნელი ჩემპიონატი დამაჯერებლად მოიგო, ექსპერტები ერთხმად აღნიშნავდნენ ნახევარდაცვაში არსებულ პრობლემებსა და მატჩების მიმდინარეობისას ბურთის შედარებით სუსტ კონტროლს. **პოლ სქოულზმა** კარიერა დაასრულა, **ტომ კლევერლის** რეგულარულად აწუხებს ჯანმრთელობის პრობლემები, **ფილ ჯონსი** კი ბევრად უფრო ეფექტურად გამოიყურება დაცვის ცენტრში. აშკარაა, რომ ცენტრალური ნახევარდაცვა გაძლიერებას საჭიროებს.

„ეშმაკებისთვის“ პრიორიტეტი ბარსელონელი **ტიაგო ალკანტარაა**, ფეხბურთელი, ვისაც შესანიშნავად შეუძლია შეტევების ორგანიზება. შუახაზელებს შორის საუკეთესო შედეგი შარშან **რაიან გიგზს** ჰქონდა - 5 გოლი. აქედან ორჯერ მან პენალტი გაიტანა. ამას გარდა განიხილება **იოან კაბაისა** და **კევინ სტროოტმანის** კანდიდატურებიც.

## 3. წამსვლელები

უეინ რუნის მოსალოდნელი ტრანსფერის გარდა „ოლდ ტრეფორდიდან“ აბარგების კიდევ რამდენიმე კანდიდატია. უპირველესად ლაპარაკია **ანდერსონსა** და **ნანიზე**. ეს ფეხბურთელები „იუნაიტედმა“ 2007 წელს შეიძინა, როგორი ტოპტალანტები, მაგრამ მათ დროთა განმავლობაში პროფესიული თვალსაზრისით ზრდა შეწყვიტეს. გამორიცხული არ არის, რომ გუნდიდან წავიდეს ფრანგი მარცხენა მცველი **პატრის ევრაც**, რადგან მოიესს „ევერტონიდან“ **ლეიტონ ბეინსის** გადაბირება სურს. ახალგაზრდა კონკურენტთან ძირითადისთვის ბრძოლას ფრანგმა, შესაძლოა, კარიერის მიწურულს მსუყე ხელფასზე თამაში არჩიოს ისეთ კლუბებში, როგორებიც არიან „პარი სენ-ჟერმენი“ ან „მონაკო“. მართალია, „იუნაიტედის“ გარემარბებს - **ეშლი იანგსა** და **ანტონიო ვალენსიას** წინა სეზონში თამაში არ წაუვიდათ, მაგრამ მოიესი მათთან გამოთხოვებას ნამდვილად არ გეგმავს.

## 4. სამწვრთნელო შტაბის ურთიერთგაგება

ალექს ფერგიუსონის დარად გუნდი დატოვეს შოტლანდიელის ასისტენტებმაც. იმ სპეციალისტებს კი, ვისაც მოიესმა თავის შტაბში უხმო, მაღალ დონეზე მუშაობის გამოცდილება არ აქვთ. ამიტომ გამორიცხული არ არის, დევიდმა მალე „იუნაიტედის“ რომელიმე ყოფილი ვარსკვლავი დაამატოს შტაბს, ისეთი რომელიც ძირფესვიანად იცნობს კლუბის სისტემას. ერთ-ერთ ასეთ ვარიანტად „ევერტონის“ ყოფილი კაპიტანი **ფილ ნევილი** სახელდება. მან სულ ცოტა ხნის წინათ გამოაცხადა კარიერის დასრულების შესახებ.

## 5. ჰარმონია გასახდელში

სანდო წყაროების მტკიცებით, „იუნაიტედის“ ფეხბურთელები მოიესის პოსტზე დანიშვნას კმაყოფილნი შეხვდნენ. ამის მიუხედავად, შოტლანდიელს არ უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ მოთამაშეებთან ისეთივე ავტორიტეტი ექნება გარანტირებული, როგორც მის წინამორბედ ალექს ფერგიუსონს. მოიესს, უპირველესად, გუნდის დამსახურებულ ვეტერანებთან - **რიო ფერდინანდთან** და რაიან გიგზთან მოუწევს საერთო ენის გამონახვა. მან ასევე არ უნდა დაუშვას, რომ საკუთარი პერსპექტივებით შეწუხებულმა რუნიმ და ევრამ გასახდელს თავიანთი განწყობა გადასდონ. გუნდის თავკაცს ფეხბურთელებთან დაახლოების პირველი შანსი მოსამზადებელ შეკრებაზე მიეცემა, რომელიც 10 ივლისს იწყება. მოსალოდნელია, რომ სწორედ ამ შეკრების შემდეგ მიიღებს მწვრთნელი პირველ მნიშვნელოვან საკადრო გადაწყვეტილებებს.

ამბები

## არსენალი და ტოტენჰემი აქაც იბრძოლებენ

„სანის“ ცნობით, „არსენალი“ და „ტოტენჰემი“ „მანჩესტერ სიტიდან“ 32 წლის **გარეთ ბერის** შეძენას შეეცდებიან. ინგლისის ნაკრების ფეხბურთელს „ქალაქელებთან“ ხელშეკრულებაში ერთი წელიწადი რჩება, კლუბი კი ჯერჯერობით არ ჩქარობს მასთან თანამშრომლობის გახანგრძლივებას. **მანუელ პელეგრინის** ჯერ ვერ გაურკვევია, დასჭირდება თუ არა ის სამომავლოდ. შესაბამისად, გარეთი უკვე ფიქრობს „ეტიჰადიდან“ წასვლაზე. ინკოგნიტო წყაროების ცნობით, „არსენალი“ მზადაა, ფეხბურთელს 2-წლიანი კონტრაქტი შესთავაზოს, თუმცა ბერის ხელფასის შემცირებაზე მოუწევს წასვლა. „სიტი“ კვირაში მას 130 ათას ფუნტს უხდის. რაც შეეხება უშუალოდ საკომპენსაციო თანხას, „მეთოფეები“ ვეტერანს 3,5 მილიონ ფუნტად აფასებენ. იმავე წყაროს ცნობით, **არსენ ვენგერის** გუნდი ამ ბრძოლაში აშკარა ფავორიტია, რადგან ის ჩემპიონთა ლიგის მონაწილეა.

## უილკინსი აბრამოვიჩის წინააღმდეგ

„ჩელსიში“ **რომან აბრამოვიჩის** მისვლამ და ამის შემდეგ ინგლისურ ფეხბურთში დამკვიდრებულმა ტენდენციებმა ქვეყნის ეროვნულ თუ ასაკობრივ ნაკრებებზე დამღუპველი გავლენა იქონია - მიიჩნევს „ჩელსის“ ყოფილი მწვრთნელი, 2008/10 წლებში მთავარი მწვრთნელების ასისტენტი **რეი უილკინსი**. აი, რას აცხადებს ის: *„თუკი მხოლოდ „ჩელსის“ ინტერესებიდან გამოვალთ, მან სიტუაცია ნამდვილად გააუმჯობესა, მაგრამ მას შემდეგ ინგლისის ნაკრების თამაშის ხარისხი განუხრელად ეცემა. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ლეგიონერთა რიცხვმა ისეთ დონეს მიაღწია, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელებს ყველანაირი პერსპექტივა დაეხშოთ თავის გამოსაჩენად“.*

გეტყვით, რომ პრემიერლიგის ოცივე კლუბის განაცხადში ამჟამად 344 უცხოელი ფეხბურთელია, რაც საერთო რაოდენობის 65,5%-ს შეადგენს.

## ლონდონიდან კიევში

შესაძლოა, კიევის „დინამომ“ ლონდონის „არსენალთან“ უახლოეს დღეებში დაიწყოს მოლაპარაკებები 29 წლის მაროკოელი თავდამსხმელის **მარუან შამახის** ტრანსფერზე. „მეთოფეებმა“ 2010 წელს აფრიკელი „ბორდოდან“ დიდი იმედებით შეიძინეს, მაგრამ მწარედ შეცდნენ. მას არც „ვესტ ჰემში“ „სტაჟირებამ“ უშველა. თავდამსხმელმა ვერც „ჩაქუჩების“ ძირითადში შეძლო თავის დამკვიდრება. მხარეთა შორის გაფორმებულ კონტრაქტს ვადა მომავალი წლის ზაფხულზე გასდის. შესაბამისად, ჩრდილოლონდონელებს მისი სარფიანად გაყიდვის ბოლო შანსი აქვთ. „დინამო“ მზადაა, ფეხბურთელში 3 მილიონი ევრო გადაიხადოს.

## ობი მიკელი მიანიშნებს

„სქაი სპორტსთან“ ინტერვიუში „ჩელსის“ 26 წლის ნიგერიელმა საყრდენმა ნახევარმცველმა **ჯონ ობი მიკელმა** განაცხადა, რომ ნამდვილად არ გამორიცხავს ამ ზაფხულს „სტემფორდ ბრიჯიდან“ აბარგებას. მიზეზი იოლად მისახვედრია. **ჟოზე მოურინიო** გამალებით ეძებს პოზიციურად მის კონკურენტებს. *„მართალია, „ჩელსისთან“ კონტრაქტი კიდევ ოთხი წლით მაკავშირებს, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთი ისეთია, ვერასოდეს გამოიცნობ, რა შეიძლება მოხდეს ხვალ,“* - აცხადებს ნიგერიელი. ინგლისური პრესის ვარაუდით, ყველაზე რეალური ობი მიკელის „გალათასარაიში“ გადასვლაა. „ლომები“ ტრანსფერში 20 მილიონ ევროს ჩამოდიან. 2006 წელს ნორვეგიული „ლინიდან“ მისი ყიდვა თავის დროზე 16 მილიონი დაჯდა.

## ნიუკასლიდან უიგანში

„ნიუკასლის“ 27 წლის საყრდენმა ნახევარმცველმა **ჯეიმს პერჩმა** „უიგანთან“ 4-წლიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი. „ათლეტებმა“ ფეხბურთელის სანაცვლოდ 700 ათასი ფუნტი გადაიხადეს. აღსანიშნავია, რომ **ოუენ კოილის** გუნდმა უკვე მეოთხე ახალწვეული დაიმატა. აქამდე DW Stadium-ზე თამაშს დათანხმდნენ **ტომას როგნე** (ნორვეგია, 23 წლის, ცენტრალური მცველი), **სტივენ კრეინი** (ირლანდია, 32, მარცხენა მცველი) და **კრის მაკანი** (ირლანდია, 25, ცენტრალური ნახევარმცველი).

პერჩი „სენტ ჯეიმს პარკზე“ 2010 წელს „ნოტინგემ ფორესტიდან“ გადაბარგდა, თუმცა „კაჭკაჭების“ ძირითადის ფეხბურთელად არასოდეს მიიჩნეოდა.

## ბარტონი თავის სტიქიაში



ჯოი ბარტონი

„ქუინზ პარკის“ 30 წლის ნახევარმცველმა **ჯოი ბარტონმა** 2012/13 წლების სეზონი იჯარით „მარსელში“ გაატარა. 3 ივლისს ის ლონდონური კლუბის ბაზაზე უნდა გამოცხადებულიყო. **ჰარი რედნაპი** შეგირდს ტყუილად ელოდა. როგორც გაირკვა, ფეხბურთელი ლონდონში საერთოდ არ იმყოფება. *„გამონაკლისის გარეშე ყველა ფეხბურთელი გავაფრთხილეთ, თუ როდის უნდა გამოცხადებულიყვნენ შეკრებაზე, თუმცა ბარტონი ჯერ არ გამოცხადებულა,“* - განაცხადა „რეინჯერების“ მთავარმა მწვრთნელმა. რა ზომებს მიმართავს კლუბი ბარტონისთვის ჭკუის სასწავლებლად, ძნელი წარმოსადგენი არ არის. მას სერიოზული ჯარიმა და ტრანსფერზე დაყენება ელის. რამდენიმე დღის წინ ფეხბურთელმა გულწრფელად განაცხადა, რომ ჩემპიონშიპში თამაშს არ აპირებდა.

ფრანგული წყაროების ინფორმაციით, „მარსელში“ სერიოზულად ფიქრობენ ვეტერანი ინგლისელის გამოსყიდვაზე. ჩემპიონშიპში დაქვეითებული კლუბი უბრალოდ იძულებულია, ფეხბურთელი საბაზრო ფასზე ნაკლებად დათმოს.

## ბარსას პირველი წინადადება: 32 მილიონი ტიაგო სილვაში

როგორც ჩანს, პარიზელთა განცხადების მიუხედავად - **ტიაგო სილვას** „პარი სენ-ჟერმენი“ არ გაყიდისო - „ბარსელონა“ არ ეშვება ბრაზილიელი მცველის ტრანსფერზე ფიქრს. ესპანური წყაროები ამტკიცებენ, რომ კატალონიელებმა პირველი ოფიციალური წინადადებით მიმართეს პსჟ-ს - ისინი ტიაგო სილვას სანაცვლოდ 32 მილიონ ევროს იხდიან. სავარაუდოდ, პსჟ ამ წინადადებას უარყოფს, რადგან თავის დროზე სილვაში მეტი გადაიხადეს, თუმცა მოლაპარაკების პროცესში „ბარსელონა“ თანხის მომატებასაც აპირებს.

შეგახსენებთ, რომ მანამდე სილვას აგენტმა **პაულო ტონიეტომ** განაცხადა, რომ „ბარსას“ წარმომადგენლებთან ამ საკითხზე არ ულაპარაკია, თუმცა ფეხბურთელისთვის „ბარსელონაში“ თამაშის პერსპექტივაზე უარის თქმა ძნელად წარმოუდგენია.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ტრანსფერები

## ბარსადან სტოკ სიტიში




მარკ მუნიესას პრეზენტაცია

„სტოკ სიტის“ ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, კლუბმა 4-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა „ბარსელონასა“ და ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების 21 წლის ცენტრალურ მცველ **მარკ მუნიესას**. პრემიერლიგელებს გარიგება არაფერი დასჯდომიათ, რადგან ფეხბურთელი თავისუფალი აგენტი გახლდათ. „ბლაუგრანას“ ძირითად გუნდში მუნიესამ მხოლოდ 4 თამაშის გამართვა მოასწრო. გეტყვით იმასაც, რომ შარშან **ტონი პულისს** პრემიერლიგაში ცენტრალური მცველების ერთ-ერთი ყველაზე სანდო დუეტი ჰყავდა. **რაიან შოუკროსმა** და **რობერტ ჰუთმა** პირველი წრე მაღალ დონეზე ჩაატარეს, მაგრამ იმის გამო, რომ რეალური ალტერნატივა არ ჰყავდათ, გადაიღალნენ, რაც გუნდის თამაშის ხარისხზეც აისახა. მუნიესას გადაბირება „სტოკის“ ახალი დამრიგებლის **მარკ ჰიუზის** იდეა იყო.

## მეშვიდე ესპანელი ლიბერთი სტედიუმზე



ალეხანდრო პოსუელო

„სუონსიმ“ „ბეტისიდან“ 21 წლის ნახევარმცველი **ალეხანდრო პოსუელო** შეიძინა. უელსური კლუბის ვებგვერდის ცნობით, ფეხბურთელმა 3-წლიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი. რა თანხას მიიღებენ სევილიელები, უცნობია. გამოდის, რომ **მიკაელ ლაუდრუპის** გუნდის განაცხადში უკვე მეშვიდე ესპანელი გამოჩნდა - **ჩიკო ფლორესი, ანხელ რანხელი, მიგელ მიჩუ, პაბლო ერნანდესი, ხორდი ამატი, ხოსე კანიასი** და ალეხანდრო პოსუელო. სამმა უკანასკნელმა „გედებთან“ ხელშეკრულებას უკანასკნელ კვირაში მოაწერა ხელი.

კვირა ციფრებში.



# შერცხვენილი ინგლისი, დამარცხებული ესპანეთი

**შერცხვენილი ინგლისი, ბრაზილიის მიერ დამარცხებული ესპანეთი, მორიგი საოცარი კალიფორნიული დერბი და ნეიმარ-ინიესტას უცნაური რეკორდი - ყველაფერი ეს ჩვენს დღევანდელ სტატისტიკურ მიმოხილვაში.**

**30** - საჯარიმო დარტყმა მოუპოვა უკვე დასრულებულ კონფედერაციათა თასზე ბრაზილიის ნაკრებს **ნეიმარმა**, რამაც **ლუიშ ფელიპე სკოლარის** გუნდს დადებითი სამსახური გაუწია. იტალიასთან გამართულ შეხვედრაში, ერთ-ერთ ასეთ საჯარიმოს 21 წლის ფორვარდის ჩაწოდება და **დანტეს** გოლი მოჰყვა, ხოლო მეორე შემთხვევაში ბურთი თავად ნეიმარმა გაიტანა, როდესაც სტანდარტულიდან **ბუფონს** შანსი არ დაუტოვა. ფინალში, ნეიმარმა **ჟერარდ პიკე** მოატყუა, რომელმაც თავისი მომავალი თანაგუნდელი მოცელა და წითელი ბარათი მიიღო. პიკეს ამ გაძევების შემდეგ, საბოლოოდ გასაგები გახდა, რომ ესპანეთი სამბურთიანი ჩამორჩენის აღმომფხვრელი არ იყო.

იტალიელი **მარიო ბალოტელი** ამ ნომინაციაში მეორე ადგილზე გავიდა - მის წინააღმდეგ წესები 17-ჯერ დაარღვიეს. ფინალში, **ანდრეს ინიესტას** წინააღმდეგ 8-ჯერ დაჯარიმდნენ, რაც **ვისენტე დელ ბოსკეს** ეპოქაში, ესპანეთის ნაკრების რეკორდია.

საინტერესოა, რომ ტურნირის ყველაზე უხეში ფეხბურთელის „ტიტულიც" ნეიმარმა მოიპოვა, რომელმაც თამაშის წესები 17-ჯერ დაარღვია.

**29** - ოფიციალური მატჩი წაგების გარეშე - ეს არის რეკორდი, რომელიც ესპანეთის ნაკრებმა დაამყარა. სერია კვირას, კონფედერაციათა თასის ფინალურ შეხვედრაში შეწყდა. წინა რეკორდის მფლობელი საფრანგეთის ნაკრები იყო, რომელმაც 1994-99 წლებში 27 წაუგებელი ოფიციალური მატჩი ჩაატარა.

ბრაზილიასთან დაპირისპირებამდე, ოფიციალურ შეხვედრაში, უკანასკნელი მარცხი ესპანეთის ნაკრებმა 2010 წლის მუნდიალზე, ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში, შვეიცარიის ნაკრებთან (0:1) განიცადა და იქიდან მოყოლებული, „ფურია როხამ" 24 მატჩი მოიგო, 5 კი ფრედ დაასრულა.

შეგახსენებთ, რომ ესპანეთმა ბრაზილიასთან 0:3 წააგო და ამით კიდევ ერთი ხანგრძლივი სერია დაასრულა - ოფიციალურ შეხვედრაში, ორზე მეტბურთიანი სხვაობით პირენეელებს ბოლოს 1985 წელს, უელსთან ჰქონდათ წაგებული. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის იმ შეხვედრაში, **იან რაშის** დუბლის და **მარკ ჰიუზის** ერთი გოლის წყალობით, ბრიტანელებმა იბერიელებს 3:0 მოუგეს.

**17** - მატჩიანი მოუგებელი სერია მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატებზე - ასეთი საზარელი შედეგი არა რომელიმე აუტსაიდერს, არამედ ინგლისის ნაკრებს აქვს. ახალგაზრდულ მუნდიალზე უკანასკნელი გამარჯვება ბრიტანელებმა 1997 წელს, ჯგუფური ეტაპის ფინალურ შეხვედრაში, **მაიკლ ოუენის** ერთადერთი გოლის წყალობით, მექსიკასთან მოიპოვეს. ამ მოგებით, ინგლისი ჯგუფიდან მაქსიმალური შედეგით 1/8-ფინალში გავიდა, სადაც მომავალ ჩემპიონ არგენტინასთან 1:2 წააგო. სამხრეთამერიკელთა მხრიდან გოლები **ხუან რომან რიკელმემ და პაბლო აიმარმა** გაიტანეს.

1999 წელს, გუნდმა, რომელშიც **ეშლი კოული** და **პიტერ კრაუჩი** თამაშობდნენ, ჯგუფში სამივე მატჩი წააგო, ხოლო 2003 და 2009 წლებში ინგლისმა მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა. ორი წლის წინ, კოლუმბიაში გამართულ მუნდიალზე ბრიტანელებმა ჯგუფური ეტაპის სამივე მატჩი ფრედ, თანაც სამივე 0:0 დაასრულეს, მაგრამ მომდევნო ეტაპზე გასვლა მაინც შეძლეს, სადაც უკვე ნიგერიის ახალგაზრდულ ნაკრებთან დამარცხდნენ (0:1).

წლევანდელი ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში ინგლისი, მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე, ერაყს 2:0-ს უგებდა, მაგრამ ეს უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და საბოლოოდ, მხოლოდ ქულას დასჯერდა. ამის შემდეგ, **პიტერ ტეილორის** გუნდმა ჩილესთან ქულა აიღო, ეგვიპტესთან კი 0:2 წააგო. 17 მოუგებელი მატჩიდან ინგლისმა 10 წააგო და რაც კიდევ უფრო საოცარია, ამ პერიოდში მხოლოდ 5 (!) გოლი გაიტანა.

**2**- გოლი გაიტანა მსაჯის მიერ დამატებულ დროში „სან ხოსე ერთქვეიქსმა" და მიუხედავად იმისა, რომ „ლოს ანჯელეს გელექსისთან" შეხვედრაში მინდორზე კაცნაკლული იყო, კიდევ ერთი საოცარი „ქამბექი" შემოგვთავაზა.

წინა სეზონში, ამ გუნდების პირველ დაპირისპირებაში, მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე, „სან ხოსე" ორბურთიანი სხვაობით აგებდა, მაგრამ საბოლოოდ, 3:2 მოიგო, გამარჯვების მომტანი ბურთი კი **ალან გორდონმა** არბიტრის მიერ დამატებულ მე-4 წუთზე გაიტანა. ერთი თვის შემდეგ, „სან ხოსე" კვლავ ორბურთიანი სხვაობით აგებდა, მაგრამ „კალიფორნიული კლასიკო" 4:3 მოიგო.

წელს, მატჩის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე, „გელექსი" ისევ ორბურთიანი სხვაობით იგებდა და მართალია, მეტოქემ, კერძოდ გორდონმა, ერთი საპასუხო ბურთი გაიტანა, მაგრამ მორიგი სასწაული წარმოუდგენელი იყო, რადგან **ვიქტორ ბერნარდესმა** მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და „სან ხოსე" 10 კაცით დარჩა. მიუხედავად ამისა, 92-ე წუთზე, **ში სალინასმა** წონასწორობა აღადგინა, 83 წამის შემდეგ კი გორდონის კიდევ ერთმა თავურმა დარტყმამ „სან ხოსეს" მორიგი საოცარი გამარჯვება მოუტანა და „სტენფორდზე" შეკრებილი 50 000 მაყურებელი ჭკუიდან გადაიყვანა.

ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი

# ოლიმპია თითქმის ფინალშია



„ოლიმპია" ცალი ფეხით ფინალშია

**ოლიმპია-სანტა ფე 2:0**

**გოლები**: 1:0 ე. მირანდა (66-პენ), 2:0 ხ. ფერეირა (81)

**ოლიმპია (3-5-2):** მ. სილვა - მანსური, ე. მირანდა, კანდია - პიტონი (46. ხ. ფერეირა, 84. პრონო), მასაკოტე (46. ა. სილვა), ე. არანდა, ნ. ბენიტესი, მ. ხიმენესი - სალგეირო, ბარეირო

**სანტა ფე (4-3-1-2):** კ. ვარგასი - ანჩიკო, კ. ვალდესი, მესა, მ. გარსია - დ. ტორესი, ბედოია, ჯ. ვალენსია (74. ხ. როა) - ო. პერესი - მედინა, კუერო (85. მარტინეს ბორხა)

**გაფრთხილება**: ხ. ფერეირა, ნ. ბენიტესი - ბედოია, კ. ვარგასი, დ. ტორესი

**გაძევება**: სალგეირო (45. ოლიმპია), ბედოია (45. სანტა ფე)

**მაყურებელი**: 32 000

ასუნსიონის „ოლიმპიამ" ლიბერტადორესის თასის ფინალისკენ უდიდესი ნაბიჯი გადადგა. პარაგვაელებმა, პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში „სანტა ფეს" 2:0 მოუგეს და საპასუხო მატჩის წინ სერიოზული ჰანდიკაპი შეიქმნეს.

შეხვედრის პირველი ნახევარი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და საწყისი 44 წუთი მოსაწყენიც კი იყო, თუმცა ტაიმის ბოლო წუთზე, სტადიონზე შეკრებილი 32 ათასი მაყურებელი **ხუან მანუელ სალგეირომ** და **ხერალდო ბედოიამ** გაახალისეს - ფეხბურთელებმა ერთმანეთში ხელჩართული ჩხუბი გამართეს, რის გამო ბრაზილიელმა არბიტრმა **ებერ რობერტო ლოპეშმა** ორივე მინდვრიდან მიაბრძანა. როგორც ჩანს, გამოცდილი ნახევარმცველის გაგდებამ „სანტა ფეზე" უფრო მეტად იმოქმედა, ვიდრე ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირის გამოკლებამ „ოლიმპიაზე". ფაქტია, მეორე ნახევარში უპირატესობას მასპინძლები დაეუფლნენ და ეს უპირატესობა ორ გატანილ გოლში ასახეს. ანგარიში 66-ე წუთზე გაიხსნა - ცვლილებაზე შემოსული **ალეხანდრო სილვა** საჯარიმოში **კამილო ვარგასმა** წააქცია, რისთვისაც ყვითელი ბარათი მიიღო, მისი გუნდის კარში კი პენალტი დაინიშნა. 11-მეტრიანი „ოლიმპიას" მცველმა **ერმინიო მირანდამ** შეასრულა და მასპინძლები დააწინაურა.

ალეხანდრო სილვამ მონაწილეობა მეორე გოლშიც მიიღო. ურუგვაელმა, კიდევ ერთი, ცვლილებაზე გამოსული, მოთამაშე, **ხუან ფერეირა** შესანიშნავი გადაცემით მოამარაგა და არგენტინელმაც პარტნიორს იმედი არ გაუცრუა - 2:0.

ფერეირას გოლამდე თავის გამოჩენა **ბარეიროსაც** შეეძლო, მაგრამ პარაგვაელთა საუკეთესო ბომბარდირს მიზანმა უმტყუნა. საბოლოოდ, 2:0 და საპასუხო მატჩის წინ, რომელიც ერთი კვირის შემდეგ ბოგოტაში უნდა გაიმართოს, „ოლიმპია" წყვილის აშკარა ფავორიტად იქცა.

აღსანიშნავია, რომ ტურნირზე შემორჩენილი ოთხი გუნდიდან, „ოლიმპია" არის ერთადერთი, რომელსაც ლიბერტადორესის თასი მოგებული აქვს. პარაგვაის 39-გზის ჩემპიონმა, სამხრეთ ამერიკის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირი სამჯერ (1979, 1990, 2002) მოიგო. „სანტე ფე" კი 1/2-ფინალში ისტორიაში მეორე გავიდა (პირველად 1961 წელს) და იმის შანსი, რომ საუკეთესო მიღწევა გააუმჯობესოს, პირველი შეხვედრის შემდეგ, ძალიან მცირეა.

ამბები



ბოლო სეზონში „ჩორი" „ელვებში" იჯარით თამაშობდა

## ჩორი დომინგესი ოლიმპიაკოსში გადავიდა

**ალეხანდრო „ჩორი" დომინგესი**, რომელმაც 2012/13 წლების სეზონი „რაიო ვალეკანოში" გაატარა, კარიერას ბერძნულ „ოლიმპიაკოსში" გააგრძელებს. 32 წლის არგენტინელმა დასრულებულ ლა ლიგის ჩემპიონატში 33 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 5 გოლი გაიტანა. მიუხედავად ამისა, მადრიდულმა კლუბმა მასთან საიჯარო ხელშეკრულების გახანგრძლივება არ ინება და ვეტერანი შემტევი საბერძნეთის ჩემპიონში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა. „რივერ პლეიტის", „ზენიტის", „რუბინის" და „ვალენსიას" ყოფილმა ფეხბურთელმა ახალ კლუბთან 2-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

## სენტ ეტიენის ახალწვეულები

გუნდის ლიდერის, **პიერ-ემერიკ ობამეიანის** დორტმუნდის „ბორუსიაში" გაყიდვის შემდეგ, საფრანგეთის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი შემადგენლობის გაძლიერებაზე დაფიქრდა. „მწვანეებმა" 22 წლის **ვაჰბი ხაზრის** და 24 წლის **ფრანკ ტაბანუს** შეძენა გადაწყვიტეს. ფრანგული პრესის ცნობით, საფრანგეთის 10-გზის ჩემპიონში გადასვლაზე ორივე ფეხბურთელი თანახმაა და ახლა ჯერ კლუბებზეა. ხაზრი „ბასტიას" ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელია, ტაბანუ კი უკვე წლებია „ტულუზის" ლიდერი გახლავთ. შესაძლო სატრანსფერო თანხებზე ჯერ არაფერი თქმულა.

გვერდი მოამზადა **ტატო ბაციკაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სამზადისი



იურგენ კლოპმა ბიჭები შეკრიბა

# დორტმუნდმაც დაიწყო!

ბუნდესლიგის კლუბებიდან ახალი სეზონისთვის მზადება ყველაზე გვიან გერმანიის ვიცე-ჩემპიონმა და ჩემპიონთა ლიგის ფინალისტმა დორტმუნდის „ბორუსიამ" დაიწყო. **იურგენ კლოპმა** თავისი შეგირდები გუშინ მსუბუქად ავარჯიშა - მის განკარგულებაში სხვადასხვა მიზეზის გამო არ იყვნენ **ლუკაშ პიშჩეკი, რობერტ ლევანდოვსკი, იაკუბ ბლაშჩიკოვსკი, მიტჩელ ლანგერაკი** და ახალწვეული **სოკრატის პაპასტატოპულოსი**. პიშჩეკი ნაოპერაციებია და „ბორუსიას" კიდევ დიდხანს ვერ დაეხმარება, დანარჩენებს კი შვებულება იმის გამო გაუხანგრძლივდათ, რომ ივნისის დასაწყისში თავიანთ ეროვნულ გუნდებში ითამაშეს.

უკვე გაუწყეთ, რომ „ბორუსიამ" 24 წლის ფორვარდი **პიერ-ემერიკ ობამეიანი** გაიფორმა, რომელიც გუშინდელ ვარჯიშზე ასევე არ გამოჩენილა. გაბონელ თავდამსხმელს, რომელიც დორტმუნდელებმა „სენტ ეტიენიდან" 13 მილიონ ევროდ შეიძინეს, კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია - თუმცაღა, „დორტმუნდში" მისი გადასვლა საბოლოოდ გადაწყვეტილია. „ბორუსია" გუშინვე ავსტრიაში გაემგზავრა, სადაც შეკრებას 6 ივლისამდე გაივლის.

**გოტფრიდ ლენცი**

● ჩაშლილი ტრანსფერი

# სანტა კრუსმა ჰამბურგი იუარა



როკე სანტა კრუსი ალბათ მალაგაში დარჩება

„ჰამბურგი" იძულებულია, ახალი თავდამსხმელის ძებნა განაგრძოს, რადგან „კიკერის" ინფორმაციით, სასურველმა კანდიდატმა **როკე სანტა კრუსმა** ჩრდილოგერმანულ კლუბს უარი შეუთვალა. 31 წლის პარაგვაელმა თავდამსხმელმა „ჰამბურგის" ხელმძღვანელებს უთხრა, რომ ტრანსფერზე უარს ოჯახური მიზეზის გამო ამბობს - ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, სანტა კრუსმა ასეთი გადაწყვეტილება მეუღლის გამო მიიღო, რომელიც ჰამბურგში გადასვლის პერსპექტივით არ აღფრთოვანებულა.

მიუხედავად იმისა, რომ სანტა კრუსს იტალიური „ბოლონიაც" ეპატიჟება, პარაგვაელი სავარაუდოდ „მალაგაში" დარჩება. როგორც იცით, „ჰამბურგის" ხელმძღვანელებმა სანტა კრუსს მოსაფიქრებელი ვადა ოთხშაბათამდე მისცეს და პარაგვაელმა გერმანიაში უარი სწორედ გუშინ აფრინა.

შეგახსენებთ, რომ „ჰამბურგმა" უკვე შეიძინა ერთი ახალი თავდამსხმელი (21 წლის კამერუნელი **ჟაკ ზუა** „ბაზელიდან"), თუმცა მთავარი მწვრთნელი **ტორსტენ ფინკი** ამ უკანასკნელს „ლევერკუზენში" გადაბარგებული **ჰეონ-მინ სონის** იდეალურ შემცვლელად არ მოიაზრებს და ამბობს, რომ კიდევ ერთი ფორვარდი სჭირდება. ფინკის თქმით, მას მაღალი და მძლავრი ცენტრფორვარდი სჭირდება.

**გოტფრიდ ლენცი**

● ლევერკუზენი

# კისლინგი: ჩემპიონობას შევძლია!
## შტეფანს ნაკრებში დაბრუნების იმედი არ დაუკარგავს



შტეფან კისლინგი

ბუნდესლიგის გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირი **შტეფან კისლინგი** მიიჩნევს, რომ მის გუნდს, ლევერკუზენის „ბაიერს", მომავალ სეზონში უმაღლესი მიზნისთვის ბრძოლა შეუძლია.

*„ჩემი აზრით, „ლევერკუზენს" გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეუძლია,* - უთხრა 29 წლის გოლეადორმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს, - *კარგი ფეხბურთის თამაში რომ შეგვიძლია, ეს წინა სეზონში არაერთხელ დავამტკიცეთ, ახლა კი ისიც უნდა დავამტკიცოთ, რომ უმაღლესი მიზნისთვის ბრძოლა შეგვიძლია. ცხადია, ვაცნობიერებ, რომ ამისათვის გაცილებით მეტია საჭირო ისიც ვიცი, რომ „ბაიერნისთვის" ან დორტმუნდის „ბორუსიასთვის" სერიოზული კონკურენციის გაწევა ძალიან რთულია, მაგრამ შეუძლებელიც არაფერია."*

კისლინგი იმედოვნებს, რომ „ლევერკუზენის" ხელმძღვანელები სატრანსფერო ბაზარზე კიდევ გააქტიურდებიან და გუნდს მნიშვნელოვნად გააძლიერებენ: *„ფაქტია, რომ 8-9 ფეხბურთელმა უკვე დაგვტოვა და გუნდი ჯერჯერობით მხოლოდ 4 ახალწვეულით გავაძლიერეთ. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ახალი სეზონის დაწყებამდე ფეხბურთელებს კიდევ დავიმატებთ და ბუნდესლიგის სტარტს იდეალურ მზადყოფნაში შევხვდებით. მჯერა, რომ „ლევერკუზენი" ახალ სეზონში, წინა სეზონთან შედარებით, გაცილებით უკეთ ითამაშებს."*

როგორც იცით, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა და ყველაზე შედეგიანი გერმანელი ცენტრფორვარდია, კისლინგს გერმანიის ნაკრების თავკაცი **იოახიმ ლიოვი** ბუნდესგუნდში მაინც არ იძახებს. თუმცა შტეფანს კვლავინდებურად აქვს იმის იმედი, რომ იოგი ნაკრებში იხმობს.

*„ჯერ კიდევ არ დამიკარგავს იმის იმედი, რომ ლიოვი გამიხსენებს და მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე გამგზავრების შანსი მომეცემა,"* - აცხადებს კისლინგი.

**გოტფრიდ ლენცი**

● მონაკო

### კლაუდიო რანიერი:
# ფული არის, ყველაფერი კარგად იქნება
## ტულალანი მონაკოში მიდის

იტალიელი კლაუდიო რანიერი იმედოვნებს, რომ სეზონის დაწყებამდე „მონაკო" კიდევ რამდენიმე მაღალი დონის ფეხბურთელს შეიძენს და პირველივე სეზონში მოახერხებს ფრანგული ფეხბურთის ელიტაში თავის დამკვიდრებას.

ლიგა 2-ის ჩემპიონმა უკვე რამდენიმე ხმაურიანი ტრანსფერი განახორციელა. შეგახსენებთ, „მონაკომ" რადამელ ფალკაო, რიკარდო კარვალიო, ჯეიმს როდრიგესი და ჟოაო მოუტინიო შეიძინა, მაგრამ 61 წლის რანიერის აზრით, გუნდს კიდევ რამდენიმე მოთამაშე სჭირდება იმისთვის, რომ პსჟ-ს ღირსეული კონკურენცია გაუწიოს.

*„ჩვენი მიზანი სამეულში მოხვედრაა, მაგრამ ამ შემადგენლობით მიზნის მიღწევა გაგვიჭირდება. წინა წელთან შედარებით გუნდი შეიცვალა და გაძლიერდა, მაგრამ ჩვენი სატრანსფერო კამპანია ჯერ დასრულებული არ არის - გაძლიერება კიდევ გვჭირდება. პსჟ-ს დონემდე ბევრი გვიკლია. მომდევნო სეზონში ხალხი ჩვენი და პარიზული კლუბის ბრძოლას ელის, მაგრამ ამ რესურსით ძალიან გაგვიჭირდება, თუმცა ჩვენ ამბიციური პრეზიდენტი გვყავს და გვაქვს ფულიც, ასე რომ, დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად იქნება,"* - განაცხადა რანიერიმ „კორიერე დელო სპორტთან" საუბრისას.

### მონაკო მომავალზეც ზრუნავს

სანამ კიდევ ერთ ვარსკვლავს შეიძენდა, იქამდე საგრაფოს გუნდი მომავალზეც ზრუნავს. „ლიონიდან" 17 წლის ფორვარდის **ანტონი მარტიალის** და დონეცკის „მეტალურგიდან" 19 წლის იტალიელი თავდამსხმელის **გაეტანო მონაკელოს** შეძენის შემდეგ, „მონაკომ" კიდევ ერთი ნიჭიერი ფეხბურთელი იყიდა. მადრიდის „რეალის" ახალგაზრდული გუნდის წევრი **ფაბინიო**, რომელმაც წინა სეზონში ერთი მატჩი ლა ლიგაშიც ითამაშა, კარიერას „მონაკოში" გააგრძელებს. 19 წლის მცველმა „რეალის" რიგებში „მალაგასთან", 36-ე ტურის შეხვედრაში ითამაშა და **ანხელ დი მარიას** საგოლე პასიც მიაწოდა.

### ტულალანი თითქმის მონაკოელია, უარი აბიდალს

„მალაგას" 29 წლის ფრანგი საყრდენი ნახევარმცველი **ჟერემი ტულალანი** ძალიან ახლოსაა „მონაკოში" გადასვლასთან. „მალაგას" გენერალური დირექტორი **ვისენტე კასადო** უკვე მონტე-კარლოშია და „მონაკოს" ხელმძღვანელობას ტულალანის ტრანსფერზე ელაპარაკება. „ნანტის" და „ლიონის" ყოფილი ფეხბურთელი დაახლოებით 5 მილიონი ევრო ღირს.

ამასობაში „მონაკომ" „ბარსელონას" ყოფილ მცველ **ერიკ აბიდალს** გუნდში ჩარიცხვაზე უარი უთხრა.

**ტატო ბაციკაძე**



ჟერემი ტულალანი და ერიკ აბიდალი კლუბშიც ერთად ვერ ითამაშებენ

● მსოფლიოს ჩემპიონატი. U-20. 1/8 ფინალი

**ხორვატია-ჩილე 0:2**

გოლები: 0:1 კასტილიო (81), 0:2 შიმონოვიჩი (85 ს.კ.)

**პორტუგალია-განა 2:3**

გოლები: 0:1 აშია (19), 1:1 ფერეირა (71), 2:1 იე ედგარი (73), 2:2 ანაბა (79), 2:3 ბოაკიე (85)

**კოლუმბია-ს. კორეა 1:1 (7-8 პენ)**

გოლები: 0:1 სონგი (16), 1:1 კინტერო (93)

**ერაყი-პარაგვაი 1:0 (დ.დ.)**

გოლი: 1:0 შაკორი (94)
გაძევება: სანაბრია (80)

**1/4 ფინალი**

**6 ივლისი**

საფრანგეთი-უზბეკეთი
ურუგვაი-ესპანეთი

**7 ივლისი**

განა-ჩილე
ს. კორეა-ერაყი

● ამბები

### ვერდერი: ბარგფრედეს 3 თვე გაუცდება

„ვერდერის" საყრდენმა ნახევარმცველმა **ფილიპ ბარგფრედემ** გუშინ მარჯვენა მუხლზე მენისკის ოპერაცია გაიკეთა და ბრემენული კლუბის სამედიცინო შტაბის ინფორმაციით, ფეხბურთს მინიმუმ სამი თვის განმავლობაში ველარ ითამაშებს. „მუსიკოსების" მთავარი მწვრთნელი **რობინ დუტი** მომხდარით იმედგაცრუებულია - ბარგფრედე ვარჯიშებზე ძალიან კარგად გამოიყურებოდა, მას ძირითადი შემადგენლობის წევრად მოვიაზრებდი და ძალიან სამწუხაროა, რომ ოპერაცია დასჭირდაო.

### ბარიოსი გუანჯოუს ედავება



ლუკას ბარიოსი

დორტმუნდის „ბორუსიას" ყოფილი თავდამსხმელი **ლუკას ბარიოსი** თავის ამჟამინდელ კლუბს, ჩინურ „გუანჯოუს" ედავება. 28 წლის გოლეადორი თავის კუთვნილი ხელფასის ალებას ითხოვს და აცხადებს, რომ ჩინურ კლუბში დაპირებულ და კონტრაქტით შეთანხმებულ ჯამაგირს სრულად არ უხდიან.

*„კარიერას ალბათ სხვაგან გავაგრძელებ. ისეთ კლუბში მინდა გადასვლა, სადაც დამაფასებენ,"* - აცხადებს ბარიოსი. შეგახსენებთ, რომ პარაგვაის ნაკრების ფორვარდის გადაბირებით ბრემენის „ვერდერია" დაინტერესებული.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა
Auto Bild
საქართველო
გაყიდვაშია ივლისის ნომერი

რეალი



ისკო „სანტიაგო ბერნაბეუზე“

მაშ ასე, ეს უკვე ოფიციალური ამბავია - 21 წლის კოსტა დელ სოლელი ბიჭი, ფრანსისკო რომან ალარკონ სუარესი მადრიდის „რეალის“ წევრია! თუ კიდევ ვინმე ვერ ხვდება, საუბარია „მალაგას“ ყოფილ ვარსკვლავზე, რომელსაც ყველა ისკოს ეძახის.

2012 წლის „გოლდენ ბოის“ პრიზის მფლობელი (ევროპის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი), ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის ნამდვილი რეალელია. 3 ივლისი დატვირთული აღმოჩნდა ისკოსთვის, ახალგაზრდული ჩემპიონატის ტრიუმფიდან ბევრი დრო არ გასულა, რომ ისკო მადრიდში ჩავიდა, გაიარა სამედიცინო შემოწმება („რეალის“ ექიმი აღფრთოვანებული დარჩა, ბიჭი სუპერჯანმრთელიაო) და ხელი 5-წლიან კონტრაქტს მოაწერა.

„სანტიაგო ბერნაბეუზე“ გამართულ პრეზენტაციაზე „რეალის“ პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა თქვა, რომ ისკოს მრავალი წინადადება ჰქონდა (ჩვენ კარგად ვიცით „მანჩესტერ სიტის“ მიწვევის შესახებ), მაგრამ თავად ფეხბურთელმა ზინედინ ზიდანის ხათრით „რეალი“ არჩია. პერესის თქმით, რომ არა ეს სურვილი, „სამეფო კლუბი“ ისკოს აყვანას ვერ შეძლებდა (სავარაუდოდ, ინგლისელები მეტს იხდიდნენ). ოფიციალურად სატრანსფერო თანხა არ სახელდება, თუმცა ესპანეთში ყველამ იცის, რომ ისკოს სანაცვლად ანდალუსიელებმა 24 მილიონი ევრო მიიღეს (არადა, 2 წლის წინ, „ვალენსიადან“ 6 მილიონად იყიდეს).

# ისკომანია რეალში

## სამეფო კლუბმა ოქროს ბიჭუნა წარადგინა

ისკოს კომენტარი კი ასეთი იყო: „ნებისმიერი ფეხბურთელისთვის მადრიდის „რეალში“ თამაში კარიერის პიკია და მე ბედნიერი ვარ“. სხვათა შორის, ადრე ისკო ამტკიცებდა, რომ „ბარსელონაზე“ უკეთესი კლუბი დედამიწის ზურგზე არ არსებობს.

ახალგაზრდა ფეხბურთელმა დღე „რეალ ტვ-ისთვის“ ინტერვიუს მიცემით დასრულდა:

- ყოველ დღე არ ხდება კონტრაქტის გაფორმება მსოფლიოში საუკეთესო კლუბთან. დღევანდელი დღე ჩემი კარიერის საუკეთესოა. „რეალის“ მაისურის ჩაცმა ბევრისთვის ისეთი რამაა, რომ ოცნებაც კი ძნელია. „ბერნაბეუზე“ რომ გავედი, სიამაყით აღვივსე ამდენი ხალხი რომ მელოდა. პრეზიდენტი ძალიან მენდობა, მე მას მადლობას მოედანზე კარგი თამაშით გადავუხდი.

**- თქვენი ოჯახიც აქაა, როგორი იყო მათი რეაქცია თქვენს ტრანსფერზე?**

- ყველა ბედნიერია, რომ მე ამას მივაღწიე. ჩემი ოჯახი ყოველთვის გვერდში მედგა, ჭირშიც და ლხინშიც.

**- „მალაგაში“ თქვენი სიტყვა თქვით, რა შთაბეჭდილებებით წამოხვედით იქიდან?**

- ეს იყო ჩემი კარიერის ორი ბრწყინვალე წელი. მე გუნდთან ერთად ბევრს მივაღწიე, რაც ამ გუნდისთვის მანამდე საოცნებო იყო.

**- თქვენ სამ სეზონში საოცარ პროგრესს მიაღწიეთ...**

- მართლაც, სამი წლის წინათ, მე ვთამაშობდი მესამე დივიზიონში, ახლა კი აქ ვარ, მადრიდის „რეალში“.

**- ვინ შეასრულა მთავარი როლი თქვენს ფეხბურთელობაში?**

- ჩემმა ძმამ ხელი შემიწყო, სულ პატარა ვიყავი, როცა თავის მეგობრებთან დავყავდი ფეხბურთის სათამაშოდ, რომლებიც ჩემზე დიდები იყვნენ.

**- ბავშვობაში „რეალის“ რომელი ფეხბურთელი მოგწონდათ?**

- ზიდანის თამაშის ყურება ერთი სიამოვნება იყო. ეს იყო დიდი საფეხბურთო კლასის ფეხბურთელი და ძალიან ამაყი ვარ, რომ ჩემს ტრანსფერში სწორედ მას მიუძღვის წვლილი.

**- დღევანდელ მოთამაშეებზე რას იტყვით?**

- კრიშტიანო მხეცია, ჩაბი ალონსო, იოზილი, სერხიო რამოსი, ყველანი ძალიან მაგრები არიან.

რეალი



# რეალი დანებდა: ბეილს ვერ იყიდის...

გარეთ ბეილი ისევ ინგლისში დარჩება

„მარკას“ ინფორმაციით, მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობა შეეგუა, რომ **გარეთ ბეილს** ამ სატრანსფერო სეზონში ვერ იყიდის. ამის მიზეზი „ტოტენჰემის“ ბოსის, **დენიელ ლევის** პოზიციაა, ის ბეილის ტრანსფერთან დაკავშირებით, დიალოგზეც არ მიდის „რეალის“ პრეზიდენტ **ფლორენტინო პერესთან.**

„სამეფო კლუბის“ ბოსმაც გადაწყვიტა, ამ ზაფხულში მეტი მცდელობა არც გააკეთოს უელსელის შესაძენად. ამასობაში, „ივნინგ სტანდარდში“ დაიწერა ბეილის აგენტის სიტყვები, რომ „რეალს“ მათთვის არაფერი შეუთავაზებია და რომ ბეილი „ტოტენჰემში“ თავს შესანიშნავად გრძნობს.

თუმცა „რეალი“ 23 წლის ფეხბურთელის შეძენას ზუსტად 12 თვის შემდეგ შეეცდება. შეგახსენებთ, რომ ბეილს კიდევ 3 წელი რჩება კონტრაქტით „ტოტენჰემში“ სათამაშო.

ვარსკვლავი

# კრიშტიანო რონალდო: მენატრება...

მადრიდის „რეალის“ ვარსკვლავი, 28 წლის **კრიშტიანო რონალდო** მეუღლესთან, მოდელ **ირინა შეიკთან** ერთად აზიურ ტურნეშია. ახლახან მან სინგაპური მოინახულა, თუმცა ჟურნალისტები პორტუგალიელს არც აზიაში ასვენებენ.

სინგაპურში რონალდოს „მანჩესტერ იუნაიტედში“ დაბრუნების შესაძლებლობაზე ჰკითხეს:

*„ძალიან მენატრება ინგლისური ფეხბურთი. ჩემი აზრით, „მანჩესტერ იუნაიტედში“ კარიერის საუკეთესო წლები გავატარე. ყველამ კარგად იცის, რომ ეს კლუბი ჩემთვის კვლავ ბევრს ნიშნავს, ის ჩემს გულში დარჩა. მაგრამ ახლა ესპანეთის ჩემპიონატში ვთამაშობ და ცხოვრების ამ ეტაპს ესპანეთში ვატარებ. მომავალში არ ვიცი რა იქნება, ახლა კი თავს ბედნიერად ვგრძნობ“*, - განაცხადა რონალდომ.

გვერდი მოამზადა **ნიკოლოზ ნეფარიძემ**



N 1 საავტომობილო ჟურნალი მსოფლიოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

● იტალიის ახალგაზრდული ნაკრები

# აძურინი დი ბიაჯოს ჩააბარეს


ლუიჯი დი ბიაჯო - იტალიის ახალგაზრდული ნაკრების ახალი თავკაცი

იტალიის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ახლახან დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა და მთლიანობაში, კარგი შთაბეჭდილება დატოვა - მიუხედავად ამისა, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **დევის მანჯამ** პოსტის დატოვება განიზრახა. ფედერკალჩოს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მანჯამ უკვე დატოვა თანამდებობა, მისი ადგილი კი **ლუიჯი დი ბიაჯომ** დაიკავა. დი ბიაჯოს კიდევ მივუბრუნდებით, იქამდე კი მანჯას კომენტარს შემოგთავაზებთ:

*„დიდი მადლობა იტალიის ფეხბურთის ფედერაციას, რომელმაც უდიდესი ნდობა გამომიცხადა, როდესაც ახალგაზრდული ნაკრების გაწვრთნის საშუალება მომცა. კონტრაქტის გახანგრძლივება შემეძლო, მაგრამ უარი ვთქვი, რადგან მსურს, საკლუბო ფეხბურთს დავუბრუნდე. ვგრძნობ, რომ ახალგაზრდულ ნაკრებში ჩემი თავი ამოვწურე და დროა, ადგილი სხვას დავუთმო“.*

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დევის მანჯა 42 წლის ლუიჯი დი ბიაჯომ შეცვალა. ლუიჯიმ ფეხბურთელის კარიერა 2007 წელს დაასრულა, 2011 წელს კი სამწვრთნელო საქმეს მიჰყო ხელი და იტალიის 19-წლამდელთა ნაკრების მესაჭედ დაინიშნა. როგორც ჩანს, ფედერკალჩომ დადებითად შეაფასა დი ბიაჯოს გაწეული სამუშაო და მას ახალგაზრდული გუნდი ჩააბარა. შეგახსენებთ, რომ ლუიჯიმ კარიერის დიდი ნაწილი „რომასა“ და „ინტერში“ გაატარა, ბოლოს კი „ბრეშაში“ **რობერტო ბაჯოსთან** ერთად ასპარეზობდა. ამ უკანასკნელის არ იყოს, მისი კარიერის ყველაზე დასამახსოვრებელი ეპიზოდი გაცუდებული თერთმეტმეტრიანია - გახსოვთ ალბათ, 1998 წლის მუნდიალი, საფრანგეთი-იტალიის მეოთხედფინალური მატჩი და პენალტების სერია, რომელიც დი ბიაჯოს არაზუსტი დარტყმის გამო ფრანგთა სასარგებლოდ დასრულდა. ლუიჯიმ ბურთი ხარიხას გაარტყა და უმალ მონათლა ბაჯოს „მემკვიდრედ“. ვნახოთ, როგორი მწვრთნელი იქნება ერთ დროს ძალიან კარგი ნახევარმცველი.

● ტრანსფერი


ანტონიო კასანო ემილიურ გუნდში ითამაშებს

# ესეც ასე: კასანო პარმაში

დიდი ამბავია პარმაში, სადაც **ანტონიო კასანო** ჩავიდა და სულ მალე, ემილიურ კლუბთან ხელშეკრულებას გააფორმებს. ჯერ სამედიცინო შემოწმება, შემდეგ კონტრაქტზე ხელის მოწერა და ბოლოს, ჟურნალისტთა წინაშე მაისურით პოზირება - მოკლედ, ნაცნობი პროგრამა, რომლის მთავარი გმირი 30 წლის თავდამსხმელი იქნება.

კასანოს „ინტერიდან“ „პარმაში“ გადასვლა ჯერ კიდევ მაშინ გადაწყდა, როდესაც **ისაკ ბელფოდილის** მილანურ გრანდში გადაბარგების ამბავი გავიგეთ, თუმცა ფორმალობებმა გარკვეული დრო წაიღო... კასანო მაინც კასანოა და მისი ტრანსფერი ასე ერთი ხელით მოსმით ვერ გამოვიდოდა.

ამრიგად, „პარმა“ კასანოს მერვე გუნდი იქნება საფეხბურთო კარიერაში, იქამდე კი შემდეგი გუნდები მოიარა: „ბარი“, „რომა“, მადრიდის „რეალი“, „სამპდორია“, „მილანი“ და „ინტერი“. ანტონიოს იტალიის ყველა ასაკობრივ ნაკრებში აქვს ნათამაშები, ეროვნულ გუნდში კი 36 შეხვედრა გამართა და 10 ბურთი გაიტანა.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

● სავარაუდო ტრანსფერები

# კავანის საგა გრძელდება: ახლა პარიზი!

## დე ლაურენტისი 63 მილიონს ცენტს არ აკლებს

**ედინსონ კავანის** სატრანსფერო საგა გრძელდება და პერიოდულად, ახალი ცნობები ვრცელდება. 26 წლის ურუგვაელის გადაბირებას სამი კლუბი ცდილობს: მადრიდის „რეალი“, ლონდონის „ჩელსი“ და პსჟ. ბოლო პერიოდში, მადრიდელები **კარლო ანჩელოტის** გადაყვნენ და კავანისთვის ვერ მოიცალეს, ფრანგები და ინგლისელები კი მძაფრ კონკურენციაში არიან...

„გაძეტა დელო სპორტის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პსჟ-ს მესვეურებმა ნეაპოლელებს ოფიციალური წინადადებით მიმართეს და კავანის დათმობა 50 მილიონ ევროდ შესთავაზეს. ამ თემას პარიზული გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელი **ლორან ბლანიც** გამოეხმაურა:

*„ვიცი, რომ ჩვენი კლუბის მესვეურები კავანის გადაბირებას ლამობენ და მჯერა, მიზანს მიაღწევენ. ურუგვაელი გუნდს მნიშვნელოვნად გააძლიერებს და იმედია, ეს ასეც მოხდება. ედინსონის თამაშს კონფედერაციათა თასზე მივადევნე თვალი და დავრწმუნდი, რომ უმაღლესი კლასის ფორვარდია. კავანი-იბრაჰიმოვიჩის ტანდემის ხილვა ერთ რამედ ღირს და ამად არის, რომ მიმდინარე მოლაპარაკებებს ყურადღებით ვადევნებ თვალს“.*

პარიზელებს იმედი აქვთ, რომ „ნაპოლის“ პრეზიდენტი დათმობაზე წავა და კავანის ფასს 13 მილიონით გააიაფებს... შეგახსენებთ, რომ ედინსონის საბაზრო ღირებულება 63 მილიონი ევროა. სრულიად საპირისპიროზე მეტყველებს თავად **აურელიო დე ლაურენტისის** სიტყვები:

*„თუ რომელიმე კლუბი 63 მილიონ ევროს გადაიხდის, უბრალოდ, ვალდებულნი ვიქნებით კავანი გავუშვათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ჩვენთან დარჩება და კარიერას ნეაპოლში გააგრძელებს. ფულის აღება რომ მინდოდეს, 50 მილიონსაც დავთანხმდებოდი, მაგრამ ჩემი ინტერესი სწორედაც რომ ედინსონის შენარჩუნებაა. ამიტომ, ფეხბურთელს იქამდე არ გავყიდი, სანამ ამას ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მუხლი არ დამავალებს“.*


ედინსონ კავანიზე დიდი მოთხოვნაა

### არც ლონდონში სძინავთ

ამასობაში, „ჩელსის“ მესვეურები გააქტიურდნენ და თვითონ კავანის შეუტიეს - მიზანი გასაგებია, ედინსონმა თვითონ უნდა აიტეხოს ლონდონურ გუნდში გადაბარგება და ნეაპოლელები ფასის დაგდებაზე დაითანხმოს. პსჟ-ს არ იყოს, „არისტოკრატებსაც“ 50 მილიონი აქვთ გამზადებული, თუმცა არის კიდევ ერთი ვარიანტი: 30 მილიონი და სანაცვლოდ **ფერნანდო ტორესი**. რაც შეეხება თავად კავანის მოხიბვლას, საქმე ისევ და ისევ კოლოსალურ თანხებს ეხება - „გაძეტას“ მტკიცებით, ლონდონელები ურუგვაელს სეზონში 9 მილიონ ევროს ჰპირდებიან; ანუ, დაახლოებით სამჯერ მეტს, ვიდრე ნეაპოლში იღებს. ერთი სიტყვით, ედინსონზე დიდი ტაციაობაა, „ნაპოლის“ მესვეურთა მოთხოვნა კი ჯერჯერობით უცვლელია: 63 მილიონი ევრო.

### ნაპოლი იოვეტიჩს ეპატიჟება

როგორც ჩანს, **კარლოს ტევესის** გადაბირებამ ტურინელებს საბოლოოდ აღებინა ხელი **სტევან იოვეტიჩის** გადააბირებისგან. გუშინ, იტალიელ ჟურნალისტებს „ვეკია სენიორას“ სპორტული დირექტორი **ჯუზეპე მაროტა** გაესაუბრა და განაცხადა, რომ 23 წლის ჩერნოგორიელ ფორვარდს ტურინულ გრანდში არ უნდა ველოდოთ:

*„მოლაპარაკება ჩიხში შევიდა და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩაიშალა. ფლორენციელები არავითარ დათმობაზე არ წამოვიდნენ, ასეთ პირობებში კი კონსენსუსამდე მისვლა წარმოუდგენელია. „იუვეს“ საკმარისად ძლიერი თავდასხმა ჰყავს და როგორმე სტევანის გარეშეც გავალთ ფონს. იოვეტიჩს ერთადერთ შემთხვევაში დავიმატებთ, თუ ფლორენციელები მას უფასოდ გამოუშვებენ“.*

ერთ-ერთი ვერსიით, ფლორენციელებმა ტურინელებთან მოლაპარაკება ჩიხში განგებ შეიყვანეს, რადგან იოვეტიჩის მიმართულებით „ნაპოლი“ გააქტიურდა. ამბობენ, რომ აურელიო დე ლაურენტისი უკვე მზადაა სტევანში 27 მილიონი ევრო გადაიხადოს, რაც მოთხოვნილზე მხოლოდ 3 მილიონით ნაკლებია. ითქვა ისიც, რომ ნეაპოლელები იოვეტიჩს 5-წლიან კონტრაქტს და სეზონურად 2.5 მილიონ ევროს ჰპირდებიან.

● მილანი

# გალიანის ბოლო სიტყვა: პატარა ფარაონი რჩება


სტეფან ელ შაარავი „მილანში“ რჩება

ბოლო პერიოდში ხშირად ვრცელდება ინფორმაციები **სტეფან ელ შაარავის** „მილანიდან“ აბარგების შესახებ, თუმცა ყველა ასეთ ცნობას **ადრიანო გალიანი** მტკიცე უარით პასუხობს... როგორც ჩანს, „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტს ყელში ამოუვიდა ამ თემაზე საუბარი და როგორც თვითონ განაცხადა, ელ შაარავის შესაძლო წასვლის შესახებ ბოლო კომენტარი გააკეთა:

*„სტეფანს ორიოდე დღის წინველაპარაკე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ კარიერის „მილანში“ გაგრძელება სურს. ერთადერთი, რის გამოც მის გაყიდვაზე ვიფიქრებდით, მისივე სურვილი იქნებოდა, მაგრამ საბედნიეროდ, ჩვენთან უნდა დარჩენა. წინადადებებს არც კი განვიხილავთ, რადგან ელ შაარავი ის ფეხბურთელია, რომელზეც უნდა აიგოს ახალი „მილანი“. ამ თემაზე, ეს ჩემი ბოლო კომენტარია“.*

ამასობაში, სტეფან ელ შაარავისთვის რჩევის მიცემა „მილანის“ ექს-ფეხბურთელმა **ზვონიმირ ბობანმა** გადაწყვიტა: *„სტეფანი ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია და კარგია, რომ კლუბი ფსონს მასზე ჩადის. თუმცა, ჩემი აზრით, სტეფანს ჯერ კიდევ ბევრ კომპონენტში აქვს მოსამატებელი. ელ შაარავი იოლად პროგნოზირებად ფეხბურთს თამაშობს და როდესაც ბურთს იღებს, ყველამ ვიცით რას გააკეთებს. ვფიქრობ, მისთვის კრიტიკა უფრო სასარგებლოა და ამიტომ ვამახვილებ ყურადღებას მინუსზე. კარგი იქნება თუ ელ შაარავი საკუთარ თავზე მეტს იმუშავებს. ამას მხოლოდ იმიტომ ვამბობ, რომ „მილანისთვის“ და თვითონ ფეხბურთელისთვის საუკეთესო მინდა“.*






ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპირისპირება

# ვეტერანთა კავშირი კალათბურთელთა კავშირის წინააღმდეგ

სპორტის სამინისტროს დარბაზში ქართველი ვეტერანები მასმედიის წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეკრების მიზანი თავიდანვე განგვიმარტეს - 21 ივნისს ორგანიზაცია „კალათბურთელთა კავშირმა" მოაწყო პრესკონფერენცია, რომელზეც რამდენიმე ისეთ დეტალზე შეაჩერა ყურადღება, რაც „ვეტერან კალათბურთელთა კავშირის" წარმომადგენლებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. პროტესტს ხელს აწერს 35 ვეტერანი კალათბურთელი. გუშინდელ შეხვედრაზე სპეციალურად მედიისთვის დაიბეჭდა პრეს-რელიზი, რომელშიც დეტალურადაა განხილული ყველა საჭოჭმანო საკითხი. მეტს არ განვაგრძობთ, ერთად გადავხედოთ ამ დოკუმენტს.


თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

„ბოლო ხანს, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის არჩევნების მოახლოებისას, საკალათბურთო წრეებთან დაახლოებულ პირთა ჯგუფების მიერ გახშირდა თავიანთი საქმიანობის „წარმოჩენის" მაგალითები. აღნიშნული მოვლენები რამდენჯერმე გაშუქდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურია, სწორედ რომ საგანგებოდ არჩევნებისთვის შექმნილი, ორგანიზაცია „კალათბურთელთა კავშირი".

ჩვენ დაზუსტებით არ ვიცით, ვინ არიან ამ ორგანიზაცის წევრები, თუმცა თუ დავაკვირდებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქებულ სიუჟეტებს, მათი რაოდენობა დიდი არ უნდა იყოს - ჩანს მხოლოდ რამდენიმე ერთი და იგივე სახე. სამაგიეროდ, ეს ორგანიზაცია თავისი წევრების სიმწირის კომპენსაციას ახდენს დიდი ტყუილებით, ფაქტების გაყალბებით, ისტერიამდე მისული შეურაცხყოფებით, გაკეთებული საქმეების შეგნებულად არ დანახვით და იგნორირებით. და ეს ხდება ამ ორგანიზაციის ასპარეზზე გამოსვლის პირველივე დღიდან.

თავიდანვე ვაცხადებთ, რომ ჩვენ, ქართული კალათბურთის ვეტერანები, ვისაც გარკვეული წვლილი გვაქვს შეტანილი ქართული კალათბურთის წარმატებასა და განვითარებაში, აღშფოთებულები ვართ იმ სიცრუისა და შეურაცხყოფის ნიაღვრით, რომელიც მოედინება „კალათბურთელთა კავშირისგან" და რომელიც მიმართულია ერთიანი საქართველოს საკალათბურთო საზოგადოებაში განხეთქილების შეტანისთვის.

ცხადია, ყველას შეიძლება ჰქონდეს თავისი აზრი, გააჩნდეს საკუთარი მიზანი და ისწრაფვოდეს ამ მიზნისაკენ, ოღონდ ეს უნდა ხდებოდეს ჯანსაღად, ტყუილების და შეურაცხყოფის გარეშე. მიუღებელია მიზნის მიღწევისთვის ყველანაირი უკადრებელი ხერხის გამოყენება. „კალათბურთელთა კავშირს" კი სტრატეგიად და „მოღვაწეობის" წესად დაუსახავს სიცრუეზე აგებული საქმიანობა და ქართული კალათბურთის უმაღლესი მმართველი ორგანოს - საქართველოს კალათბურთის ფედერაციის უსაფუძვლო შეურაცხყოფა.

ბევრი სიცრუის მოტანა შეიძლება „კალათბურთელთა კავშირის" „მოღვაწეობიდან". მაგრამ მხოლოდ რამდენიმეზე შევჩერდეთ.

**სიცრუე №1.** „კალათბურთელთა კავშირის" განცხადებით, 2001 წლის ფედერაციის არჩევნებში, სადაც პრეზიდენტის თანამდებობაზე კენჭს იყრიდნენ ფედერაციის ამჟამინდელი პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი და ოლიმპიური ჩემპიონი მიხეილ ქორქია, „რაღაც მანიპულაციებით ფედერაციის ამჟამინდელმა მმართველებმა მოიგეს".

ჩვენ არ ვიცით, ვის რა მანიპულაციები ელანდება, მაგრამ ვიცით ის, რომ 2001 წლის ყრილობაზე ძალიან ბევრი ჩვენგანი იყო დელეგატი. ნაწილმა ჩვენგანმა ხმა მისცა ბესიკ ლიპარტელიანს, ნაწილმა - მიხეილ ქორქიას და პრეზიდენტად აირჩიეს ის, ვინც მიიღო მეტი ხმა. რაც მთავარია, არჩევნები ჩატარდა ჯანსაღ გარემოში და ყოველგვარი მანიპულაციების გარეშე. ასე რომ, თავისდა გაუაზრებლად (ან იქნებ სავსებით შეგნებულადაც) „კალათბურთელთა კავშირი" შეურაცხყოფას გვაყენებს ჩვენ, საქართველოს საკალათბურთო საზოგადოების დიდ ნაწილს, გამოვყავართ არარსებული მანიპულაციების მონაწილეებად, რაც ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია.

**სიცრუე №2.** „კალათბურთელთა კავშირი" აცხადებს, რომ ადრე „ერთ ადამიანს საპრეზიდენტო კანდიდატურის წამოყენება ორჯერ შეეძლო, მათ მიერ (ალბათ გულისხმობენ ფედერაციის დღევანდელ ხელმძღვანელებს) შეტანილი ცვლილებების თანახმად, რამდენჯერაც უნდა, იმდენჯერ მიიღებს მონაწილეობას".

ამგვარი უკიდეგანო სიცრუის მოგონების ნაცვლად, „კალათბურთელთა კავშირს" ვურჩევთ გაეცნოს კალათბურთის ფედერაციის წესდებებს დღიდან დაარსებისა (1991) და იპოვოს იქ პუნქტი, რომლის მიხედვითაც ერთ ადამიანს მხოლოდ ორჯერ შეუძლია საპრეზიდენტო კანდიდატურის წამოყენება. ცხადია, ამგვარ რამეს ვერც ისინი და ვერც ვერავინ იპოვის, რადგან ამგვარი პუნქტი არც ერთ წესდებაში არ ყოფილა და, შესაბამისად, არარსებულს ვერავინ შეცვლიდა.

**სიცრუე №3.** ავტორი „კავშირის" წევრი, ვეტერანი კალათბურთელი გურამ მინაშვილია. 23 ივნისს მან პრესკონფერენციაზე განაცხადა: „გამგეობის ერთ-ერთ სხდომაზე ლიპარტელიანს ვუთხარი, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა არ მიეღო. მან კი მიპასუხა: არავის დაეკითხება და მხოლოდ მისი გადასაწყვეტია, მიიღებს თუ არა არჩევნებში მონაწილეობას".

ჩვენთვის აბსოლუტურად გაუგებარია და საწყენია, რომ ისეთი დიდი კალათბურთელი და დამსახურებული პიროვნება, როგორიც გურამ მინაშვილია, შეგნებულად ახდენს ამ ფრაზის დამახინჯებას, რითაც ცდილობს ლიპარტელიანის დისკრედიტაციას. ამ ფრაზით მინაშვილი ცდილობს სიტუაცია დახატოს ისე, რომ ლიპარტელიანი არ სცემს პატივს საკალათბურთო საზოგადოებას. მაგრამ მას ავიწყდება, რომ ბევრი ჩვენგანი ესწრებოდა ამ ყრილობას (და არა გამგეობის სხდომას), რომელიც გაიმართა 2012 წლის დეკემბერში და ყველაფერი კარგად გავიგეთ და დავინახეთ - ლიპარტელიანის მიერ არ თქმულა ამ სიცრუის საკვანძო ფრაზა „არავის დაეკითხები". ლიპარტელიანის პასუხი იყო, რომ მას აქვს უფლება თავად გადაწყვიტოს, იყრის თუ არა არჩევნებში კენჭს.

**სიცრუე №4.** „ბოლო 12 წლის განმავლობაში ქართულ კალათბურთში არ ყოფილა წარმატება, ქართული კალათბურთი ღრმა კრიზისშია და უკან მიდის"...

ამ წერილის მიზანი არ გახლავთ ქართული კალათბურთის ბოლოდროინდელ წარმატებებზე საუბარი, მაგრამ სულ მცირე ფაქტების მოტანა აუცილებლად მიგვაჩნია: საქართველოს ნაკრების ევროპის 2011 წლის ჩემპიონატზე 12 საუკეთესო გუნდში მოხვედრა; ევროპის 2013 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა; საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების მიერ ევროპის ჩემპიონატის „ბ" დივიზიონის ორჯერ მოგება (2006, 2011). ის, რომ საქართველოს ასაკობრივი ჩემპიონატები ტარდება 5 ასაკობრივ კატეგორიაში და კალათბურთს დაუბრუნდა მასობრიობა, რასაც ვერ ვიტყოდით 2001 წლამდე პერიოდზე. თუნდაც ეს მცირე ჩამონათვალი ნათლად ადასტურებს „კალათბურთელთა კავშირის" სიცრუეს ამ საკითხთა მიმართებაში.

ახლოვდება საქართველოს კალათბურთის ფედერაციის არჩევნები. ცხადია, მასში ყველას შეუძლია მონაწილეობა, ოღონდ ჯანსაღად, კონკურენტულ გარემოში, უკვე გამოჩენილი ზეწოლის გარეშე და საარჩევნო კამპანია არ უნდა იყოს ტყუილზე აგებული. ჩვენ, საქართველოს საკალათბურთო საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილი, ვართ გარანტი, რომ არჩევნები გაიმართება ცივილიზებულად, არ იქნება ტყუილების ტირაჟირება და ვერავინ მოახერხებს თავისთვის სასურველი კანდიდატის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე „დანიშვნას", განურჩევლად თანამდებობისა. ყველას ვაფრთხილებთ, რომ ბოლო დროს დაწყებული მცდელობების მიუხედავად, ვერავინ შეიტანს განხეთქილებას საქართველოს საკალათბურთო საზოგადოებაში და ამის ჩადენის მსურველების „მოღვაწეობა" ისევე მოკლე იქნება, როგორც მათ მიერ ტირაჟირებულ ტყუილებს აქვს მოკლე ფეხი."

## პროტესტი

## გორი უკმაყოფილოა

გუშინ გორიდან მივიღეთ ვრცელი საპროტესტო წერილი 2 ივლისს, საქართველოს 13 წლამდე კალათბურთელთა პირველობის მესამე ადგილისათვის გორის „გორსა" და თბილისის „დინამოს" შორის გამართულ მატჩთან დაკავშირებით. შეხვედრა, როგორც ჩვენი კორესპონდენტი **ვასილ ბალახაძე** გვატყობინებს, დამთავრდა 88:85 თბილისელთა გამარჯვებით. თუმცა გორელები მიიჩნევენ, რომ არაობიექტური მსაჯობის მსხვერპლნი გახდნენ და ასევე სხვადასხვა მიზეზთა გამო შეხვედრის შედეგის გაპროტესტება სურთ.

რედაქცია მიიჩნევს, რომ გაზეთში ცალმხრივად ვერ დაიბეჭდება ბრალდებები. თუ გაპროტესტება გადაწყვეტილია, შესაბამისად გაირკვევა კიდეც რა და რატომ მოხდა. გაზეთი წინ ვერ გაუსწრებს მოვლენებს და ხელაღებით ბრალს ვერავის დასდებს. ამასთან, გაზეთის პოზიცია შეიძლება უმართებულო ზეწოლად იქნეს აღქმული. მზად ვართ პროტესტის განხილვის შედეგები დაუფარავად გამოვიტანოთ საზოგადოების სამსჯავროზე.

რედაქცია

ჩოგბურთი

## ერთეულებს გამოეთიშა, წყვილებში დარჩა

ვერსმოლდში (გერმანია) გრძელდება ჩოგბურთელ ქალთა 50.000-იანი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ორი ქართველიც ჩაება. უკვე გაუწყეთ, რომ ერთეულთა თანრიგში **ანა ტატიშვილმა** სასტარტო შეხვედრა კარენ ბარბატს (დანია) სძლია და მე-2 წრეში რენატა ვორაკოვას (ჩეხეთი) შეხვდება. თანამემამულეს მხარი ვერ აუბა **სოფიო შაფათავამ**, რომელიც გუშინ პირველსავე შეხვედრაში მასპინძელ ანტონია ლოტნერთან სამ სეტში დამარცხდა - 6:2, 5:7, 2:6. სამაგიეროდ, შაფათავა-ტატიშვილის დუეტმა, რომელიც მე-2 ნომრადაა განთესილი, წყვილებში გუშინ ტამარა კორპატჩისა და ტატიანა სტოლის (ორივე - გერმანია) ტანდემს აჯობა - 6:1, 6:1 და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც ნათელა ძალამიძესა (რუსეთი) და ანა ზაიას (გერმანია) გაუწევს მეტოქეობას.

ვაჟა დანელია


სოფიო შაფათავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატრანსფერო მიდი-მოდი

# შერმადინით ლომები დაინტერესდნენ

## ევროლიგაზე მარკოიშვილთან ერთად?

**ზაზა ფაჩულიას** ტრანსფერთან დაკავშირებული სერიალი გრძელდება, თუმცა გუშინ იმდენად საინტერესო ახალი ცნობა არ გაჩენილა, რომ ზედიზედ მესამე დღეს მის მომავალ კლუბზე დაგვეწერა. სამაგიეროდ, **გიორგი შერმადინის** შესახებ გაჩნდა ახალი ინფორმაცია - თურქული გამოცემა, „ვატანსპორი" იუწყება, რომ ქართველი ცენტრის გადაბირებით თურქული „გალათასარაია" დაინტერესებული.

ამ სტამბოლურ გუნდში **მანუჩარ მარკოიშვილი** ირიცხება. იმასაც შეგახსენებთ, რომ მანუს და შერმადინს ევროლიგაზე ერთმანეთის გვერდით უკვე ნათამაშები აქვთ: 2011-12 წლების სეზონში იტალიური „კანტუს" ღირსებას იცავდნენ და მეორე ჯგუფურ ეტაპზე იასპარეზეს.

„ვატანსპორის" ცნობით, მას მერე, რაც „გალას" ცენტრმა **ბონიფაც ნდონგმა** კარიერის დასრულების შესახებ განაცხადა, გუნდის ხელმძღვანელობა საევროლიგედ ძლიერი მეფარის შეძენით დაინტერესდა. კანდიდატი სამია: გასულ სეზონში „ფინიქს სანსში" მოთამაშე **ხამედ ჰადიდი**, რუსულ „ხიმკიში" მოასპარეზე **პოლ დევისი** და გიორგი შერმადინი (ბერძნული „ოლიმპიაკოსი").

როგორ განვითარდება მოვლენები, ახლო მომავალში შევიტყობთ. მანამდე კი უკრაინელთა მიერ გავრცელებულ ინფორმაციას გაგახსენებთ - შერმადინი „ბუდიველნიკში" გადადისო. თუმცა ეს ამბავი ქართველი ცენტრის აგენტმა უარჰყო.

**ვაჟა სიმონიშვილი**




უცხოურ პრესაში




# ნიუ იორკ თაიმსი: თორნიკე შენგელია ბოსტონში შეცდომით გადავიყვანეთ!

ზოგჯერ ამერიკელი ჟურნალისტებიც ცდებიან.

„ნიუ იორკ თაიმსის" ვებ გვერდი გამოცემის მიერ დაშვებული შეცდომების გასწორებას ყოველკვირეულად აქვეყნებს ხოლმე. ჩვენთვის საგულისხმო შეცდომა სპორტულ სტატიაში აღმოაჩინეს:

„რამდენიმე გამოცემაში „ბრუკლინ ნეთსსა" და „ბოსტონ სელტიკს" შორის განხორციელებულ ტრეიდში გაიპარა შეცდომა. იმ კალათბურთელთა ჩამონათვალში, რომლებიც „სელტიკსში" გადავიდნენ, შეცდომით მითითებულია **თოკო შენგელია** და **რეჯი ევანსი**, რომლებიც სინამდვილეში არ გადასულან „ბოსტონში", მათ ნაცვლად უნდა ენეროს: **მარშონ ბრუკსი** და **კრის ჯოზეფი**".

ამბავი, რომელმაც ჩვენში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, უბრალოდ, ჩვენი ამერიკელი კოლეგების მექანიკური შეცდომა ყოფილა!

თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც დაველოდოთ 10 ივლისს, როდესაც დიდი ტრეიდი „ბოსტონსა" და „ბრუკლინს" შორის ოფიციალურად გამოცხადდება.

7 ივლისს „ბრუკლინი" ჩაერთვება ორლანდოს საზაფხულო კემპში. გუნდის განაცხადში თორნიკე შენგელიაცაა. პირველ დღეს ბრუკლინელები „დეტროიტს" დაუპირისპირდებიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ევროპის ახალგაზრდული პირველობა

# ოქროს აკორდი

## ქაჯაიას ვარსკვლავი ევროპაში აკიაფდა

სკოპიეში მიმდინარე ახალგაზრდა ბერძენ-რომაელთა ევროპის ჩემპიონატის მეორე დღე ჩვენი გუნდისთვის რაოდენობრივად არა, მაგრამ ხარისხობრივად პირველზე წარმატებული აღმოჩნდა. შეგახსენებთ, რომ ტურნირის სასტარტო დღეს საქართველოს ნაკრების ოთხივე მონაწილე ნახევარფინალში გავიდა, საბოლოოდ კი გუნდმა 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო მოიპოვა. ჩვენებურთა გუშინდელი მონაგარი 2 მედალია – თითო ოქრო-ბრინჯაო. კონტინენტის ჩემპიონი მძიმეწონოსანი **იაკობ ქაჯაია** გახდა, **რობერტ ქობლიაშვილი** (84) კი მესამეზე გავიდა.

ამდენად, საქართველოს ნაკრები მაკედონიიდან 5 მედლით ბრუნდება – თითო ოქრო-ვერცხლი და 3 ბრინჯაო. შეგახსენებთ, რომ ტურნირის პირველ დღეს ფინალში **ირაკლი შავაძემაც** (50) იჭიდავა, მაგრამ დამარცხდა და ვერცხლს დასჯერდა, **ლაშა გობაძე** (74) და **გენადი კირცხალია** (96) კი მესამეზე გავიდნენ. შედეგი ცუდი ნამდვილად არაა: გუნდის ნახევარმა მედალი მოიპოვა; ჯილდოსთვის იჭიდავა მეექვსე მონაწილემ – **ხვიჩა ჭითავამ** (60), მაგრამ მეხუთეზე დარჩა; რაც მთავარია, არის ოქროს მედალი ანუ შედეგი დადებითია, მაგრამ გულდასაწყვეტია რამდენიმე ლიდერის მარცხი. ეს უფრო გუშინ მოჭიდავე ოთხეულის წევრებზე **ედნარ შავაძესა** (55) და **ფირუზ წულუკიძეზე** (66) ითქმის. შესაძლოა, ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყოს, რომ წესებში შეტანილი ცვლილებების გამო გუნდს მოსამზადებელი ეტაპის ბოლოს გეგმების შეცვლამ მოუწია და თურქეთის ტურნირში ექსტრემალურ პირობებში მოუხდა გამოსვლა.

გუშინ მოჭიდავე კვარტეტიდან იმედები სრულად მხოლოდ იაკობ ქაჯაიამ გაგვიმართლა, რომელმაც. საერთაშორისო ტურნირების შემდეგ ევროპის პირველობაზეც დაგვიმტკიცა, ამ პრესტიჟულ წონაში შეუჩერებელი ფალავანი რომ გვეზრდება. ამასთან, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თავის ასაკში იოტისოდენა კონკურენციასაც ვერავინ უწევს. მართალია, ამ იმედების გამართლება უახლოეს მომავალზე და მის მონდომებაზეა დამოკიდებული ანუ წინასწარ თავს ვერ დავდებთ მის მიერ ვარსკვლავების დაპყრობაზე, მაგრამ გუშინ რასაც ვუყურეთ ჩემპიონატის არცთუ მაღალი ხარისხის პირდაპირ რეპორტაჟში, ჩვენებურმა უბრალოდ კი არ მოუგო მეტოქეებს, ტანკივით გადაუარა და გადათელა ისინი. განსაკუთრებით – ფინალამდე გამართულ სამ შეხვედრაში. ათლეტური და მაღალი, მძლავრი და დაკუნთული ფალავანი ფიზიკურადაც ალემატება მეტოქეებს, თუმცა დიდი ძალა არაა მისი ერთადერთი ღირსება – ბევრ ილეთს აკეთებს და რაც საყურადღებოა, დგომიდანაც მშვენივრად აგდებს კონკურენტებს, ხოლო ჩოქბჯენიდან სულაც კენჭებივით ისვრის ამხელა ხალხს, ისე იოლად ატრიალებს; ჭიდაობს ტაქტიკურად გამართულად და უშეცდომოდ... პრაქტიკულად, არც უშვებს შეცდომას, არც ილლება და არც სუნთქვა უჭირს, თუმცა საქმე არასოდეს მიჰყავს დროის ამოწურვამდე, დალლა რომ შეეტყოს. სკოპიეში მან ფინალამდე სამი შეხვედრა მოიგო და როგორ გგონიათ, რამდენი დრო მოანდომა ამას? დაახლოებით 3 წუთი ანუ ორთაბრძოლისთვის განკუთვნილი დროის ნახევარი! პირველ შეხვედრაში სლოვაკი **დავიდ ცეჩი** ჯვარზე შეკვრიდან იოლად დაიქნია კისრულით და დაბლა ჩაიყვანა, სადაც მიდგა და მანამ არახუნა აქეთ-იქით, ვიდრე ანგარიში 7:0 არ გახადა ანუ წმინდა მოგება არ მიითვალა. მეტოქის წინ და უკან ფრიალის მორიგი სერია რუმინელ **ტიბერიუ ალექსანდრუ ბარბაზანთან** გვაჩვენა, რომელსაც იოლად შეეკრა ჯვარზე, თუმცა ხელების შეკვრის მერეც არ უჩქარია გადაგდება, ილეთი საფუძვლიანად მოამზადა და დგომიდან სამქულიანზე გადააგდო, ოლონდ შეტევა მაინც არ შეაჩერა და იქვე ბეჭებზეც დააწვინა. ნახევარფინალში ბელარუსის სახელით მოასპარეზე **გიორგი ჩუგოშვილი** თანამემამულეობის გამო დაინდო თუ რა მოხდა, არ ვიცი, მაგრამ ასე სწრაფად არ დაუმარცხებია – ქაჯაიას გვარიანი უპირატესობის მიუხედავად, წუთნახევარში ქულა არ გაკეთებულა, მერე კი მეტოქე ჩოქბჯენში ჩააყანეს. აი, აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა ჩვენებურის ფიზიკური უპირატესობა – ხელებიც კარგად შეკრა ანუ ილეთი ახლაც წარმატებით მოამზადა, შემდეგ ლეიბიდანაც თავისუფლად აქაჩა და ზედიზედ ხუთჯერ დაატრიალა. აქედან პირველი ოთხი მარცხენა მხარეს გააკეთა და ლამის მთელი ლეიბი შემოატარა. თან ამას ისე თავისუფლად აკეთებდა, საჭირო რომ ყოფილიყო, ერთ იმდენს კიდევ გაუკეთებდა.

წინასწარ ვიტყვით, რომ ფინალში მთლად ასე იოლად ვერ გაისეირნა და ერთხელ არც თავისი ქებული დატრიალება გამოუვიდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც წმინდად იმარჯვა. ლიტველმა **მანტას კნისტაუტასმა** ფინალში გასვლითაც დაამტკიცა, რა დონის ფალავანია, მაგრამ წინასწარ შეხვედრებში ქაჯაიასავით შთამბეჭდავი ჭიდაობა არ უჩვენებია. აი, საგანგებოდ მომზადებული კი გავიდა მასთან შესახვედრად – აშკარად ეტყობოდა, რომ ჯვარზე შეკვრის საშუალებას არ აძლევდა. პირველ პერიოდში ორივე ფალავანი თითოჯერ ჩადგა ჩოქბჯენში, მაგრამ თავი კარგად დაიცვეს. აი, მეორეში ბალტიისპირელს დაცვითმა ტაქტიკამ ვერ უშველა, თან ქაჯაიამ აქაჩვები და გდებებიც დაიწყო და ერთ წუთზე ოდნავ მეტ დროში ისევ 7:0-მდე გაზარდა სხვაობა. ამდენად, ოთხი წმინდა მოგება ოთხ შეხვედრაში და ფინალის შემდეგ ლეიბს ამაყად შემოურბინა ქართული დროშის ფრიალით... აღსანიშნავია, რომ ეს ფინალური პაექრობა ტურნირის ბოლო შეხვედრა იყო ანუ ჩვენმა ნაკრებმა სულ ბოლო შეხვედრაში მიაღწია მიზანს, ქაჯაიას ყოველი გამოსვლა კი მართლაც შესაშურია. იმედია, ის უფროსებშიც ასეთივე წარმატებით გააგრძელებს, აქ კი შეგახსენებთ, რომ მან შარშან ახალგაზრდებში ევროპაზეც და მსოფლიოზეც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.


იაკობ საჯაია

ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელი მესამე პრიზიორია ქობლიაშვილი და რომ არა გერმანელთა მომავალი ჩემპიონი **დენის მაქსიმილიან კუდლა**, წლეულს ამ შედეგს გააუმჯობესებდა, ახლა კი იგივე გაიმეორა... თუმცა კუდლას მადლობელიც უნდა ვიყოთ, რადგან ჩვენებურის შემდეგ ნახევარფინალში რუსი **ილია გუდიევიც** დაამარცხა და ქობლიაშვილს სანუგეშოში გადასვლის საშუალება მისცა. გერმანელთან ჩვენებურმა 0:4;0:1 წააგო, მანამდე კი უპრობლემოდ დაჯაბნა თურქი **გიოკტას დოგანი** – 3:0; 2:0. სანუგეშოში ქობლიაშვილმა ერთი ამოსუნთქვით, ჩოქბჯენიდან კომბინაციაში გაკეთებული დატრიალებების კასკადით წმინდად დაამარცხა შვედი **ბერგ ზაკარისი**, ბრინჯაოსთვის შეხვედრაში კი ზემოხსენებული გუდიევი გვარიანად დაჩაგრა – პირველი ქულა ორი გაფრთხილებით დასტყუა, რასაც ჯერ ორქულიანი, მერე კი ისევ ერთი მიაყოლა და 4:0 იმარჯვა.

უფროსებში საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი ედნარ შავაძე ბელარუს **იაჰორ ბელიაკთან** 2:0 კი დაწინაურდა, მაგრამ მერე უპირატესობა მთლიანად მეტოქეს გადააბარა და ტურნირსაც გამოეთიშა, რადგან ფინალში ვერც ბელარუსი გავიდა. წულუკიძემ ჩემპიონატი რიხით კი დაიწყო – ავსტრიელი **სტეფან სტაიგლი** 8:0 გაანადგურა, მაგრამ აზერბაიჯანელ **რუჰინ მიხაილოვთან** ვერაფერს გახდა და 0:3; 3:4 წააგო. სანუგეშოში ვერც ის გადავიდა, რადგან ფინალში ვერც მიხაილოვი გავიდა.

დღეს და ხვალ სკოპიეში გოგოები იჭიდავებენ, 6-7 ივლისს კი „თავისუფალთა“ ტურნირი გაიმართება.

**კვარცხლბეკი**

**55 კგ.** 1. საკიტ გულიევი (აზერბაიჯანი); 2. ალექსანდრუ ბიციუ (მოლდოვა); 3. იაჰორ ბელიაკი (ბელარუსი), არამ აკოფიანი (რუსეთი).

**66 კგ.** 1. მათეუშ ლუსიან ბერნატეკი (პოლონეთი); 2. არტემ სურკოვი (რუსეთი); 3. რუჰინ მიხაილოვი (აზერბაიჯანი), მატე ნემესი (სერბეთი).

**84 კგ.** 1. დენის მაქსიმილიან კუდლა (გერმანია); 2. დორიან პარვანი (რუმინეთი); **3. რობერტ ქობლიაშვილი (საქართველო),** ორხან ნურიევი (აზერბაიჯანი).

**120 კგ. 1. იაკობ ქაჯაია (საქართველო);** 2. მანტას კნისტაუტასი (ლიტვა): 3. სერგეი სემენოვი (რუსეთი), ტიბერიუ ალექსანდრუ ბარბაზანი (რუმნინეთი).

**ირაკლი თავაძე**

ნიჩბოსნობა


ანა გვილავა

# და მაინც ჩემპიონატი პქვია

ფოთში მდინარე კაპარჭაზე საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა აკადემიურ ნიჩბოსნობაში. შეჯიბრებაში მცხეთის, ქუთაისისა და ფოთის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ ორ ასაკში. რადგანაც ამ სახეობაში მოვარჯიშეთა რაოდენობა მცირეა, ჩემპიონატიც არ გამოირჩეოდა რიცხვმრავლობით: ზოგიერთ სახეობაში თითო-ოროლა მონაწილე თუ იყო. გაუწყებთ ორდღიანი პაექრობების შემდეგ პირველ-მესამე ადგილებზე გასულთა ვინაობას:

**1997 წელს და უფრო გვიან დაბადებულნი: 1500 მ. ერთადგილიანი, წყვილმოსასმელიანი ნავი. ბიჭები.** 1. ცოტნე პირველაშვილი (მცხეთა, 5,23), 2. გიორგი ერემაშვილი (ფოთი, 5,45). **გოგონები.** 1. ანა გვილავა (მცხეთა, 5,40). **ორადგილიანი, წყვილმოსასმელიანი ნავი. ბიჭები.** 1 ფარნა კაპანაძე, ნოდარ მარტოლეკი (მცხეთა, 5,38), 2. საბა ბერიძე, დათო ლაბაძე (ფოთი, 5,52).

**1996 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი: ბიჭები. 2000 მ. ერთადგილიანი, წყვილმოსასმელიანი ნავი. ბიჭები.** 1. აჩიკო ბაიაშვილი (მცხეთა, 7,12), 2. გიორგი კანთელაძე (ქუთაისი, 7,18), 3. გიორგი კუჭავა (ფოთი, 7,35). **ორადგილიანი, წყვილმოსასმელიანი ნავი.** 1. გიორგი თაკაშვილი, ლაშა მოთიაშვილი (მცხეთა, 7,04), 2. პეტრე ქავთარაძე, ნიკა ქავთარაძე (ფოთი, 7,21). **ორადგილიანი.** 1. გიორგი სინატაშვილი, ერმილე უკლება (ქუთაისი, 7,18), 2. მიშა ვოლნისტი, ვასო ჩარკვიანი (მცხეთა, 7,28).

**გუნდური** ადგილები ასე განაწილდა: 1. მცხეთა, 2. ქუთაისი, 3. ფოთი.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

წიგნის თარო

# ქართული ჭადრაკის რომანტიკოსი

მოჭადრაკეებისგან არაერთხელ მსმენია: ჩვენზე პარტიების ხარისხით მსჯელობენ, მწვრთნელთა მუშაობის ეფექტურობას კი შეგირდების შედეგები განსაზღვრავენო. ამ საზომით თუ მივუდგებით, ალბათ, გაგაკვირვებთ **ალექსანდრე ბოკუჩავას** ნაამაგარი: უნებურად წამოგცდება - როგორ მოასწრო ამდენი?

1960 წლისთვის სახელოვან მწვრთნელ **ვახტანგ ქარსელაძეს** ნიჭიერი მოზარდების მცირერიცხოვანი ჯგუფი ჰყავდა, სადაც ალეკო ბოკუჩავა გამორჩეული იყო. პირველ დიდ წარმატებას 1964 წელს მიაღწია: თბილისის ვაჟთა პირველობაში 8,5 ქულა მოაგროვა და საქართველოს ჩემპიონატში თამაშის უფლება მოიპოვა. იქ კი 15 შესაძლებლიდან 10,5 ქულით ვერცხლის მედალი დაიმსახურა - მხოლოდ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა დიდოსტატმა **ბუხუტი გურგენიძემ** გაუსწრო. 1971 წელს ახალქალაქში გამართულ საქართველოს ჩემპიონატში ბოკუჩავამ **ზურაბ მიქაძესთან** ერთად 9.5-9.5 ქულას მოუყარა თავი. დებულების თანახმად, ორივე ჩემპიონი გახდა. სხვა დროსაც არაერთხელ მიუღწევია წარმატებისთვის. 1978 წლიდან მასწავლებლის - ვახტანგ ქარსელაძის გზას დაადგა: თბილისის მოსწავლეთა სასახლეში მწვრთნელად დაიწყო მუშაობა. კარგი მოჭადრაკე იყო, მაგრამ ბოკუჩავამ აქ მიაგნო "თავის ადგილს". სხვადასხვა წლებში იგი ავარჯიშებდა ნათია ჯანჯღავას, ქეთევან არახამიას (ამჟამად შოტლანდიაში ცხოვრობს), გია გიორგაძეს, რუსუდან გოლეთიანს (აშშ-ში ცხოვრობს), ლაშა ჯანჯღავას, გიორგი ყაჭეიშვილს, ზვიად იზორიას, ლევან ფანცულაიას, მერაბ გაგუნაშვილს, მიხეილ მჭედლიშვილს, კონსტანტინე შანავას, დავით ჯოჯუას, დავით ზარქუას, თამარ წერეთელს, მარიამ დანელიას და სხვებს, რომლებსაც არაერთ საერთაშორისო შეჯიბრებაში უსახელებიათ თავი.




ალეკო ბოკუჩავას გარდაცვალებიდან რამდენიმე წელიწადი გავიდა, მაგრამ მეგობრები და ყოფილი შეგირდები არ ივიწყებენ მის სახელს. გუშინ თბილისის მოსწავლეთა სასახლის საჭადრაკო კლუბ ნტნ-ში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, სპორტის ოსტატ ალეკო ბოკუჩავას ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი წიგნის ("ქართული ჭადრაკის რომანტიკოსი") პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე **ზურაბ აზმაიფარაშვილიც** დაესწრო. წიგნის ავტორები არიან ამაგდარი პედაგოგის მეუღლე **მაია ბოკუჩავა**, დიდოსტატები - **ლაშა ჯანჯღავა** და **დავით გურგენიძე**, რედაქტორია დიდოსტატი **ნანა ალექსანდრია**. ამ მომცრო ნაშრომში, რომელიც უხვად არის ილუსტრირებული, დაბეჭდილია მეგობრებისა და ყოფილი შეგირდების მოგონებები, ალეკო ბოკუჩავას რჩეული პარტიები ლაშა ჯანჯღავას კომენტარებით. ბრძენთა თამაშის მოყვარულები მას სიამოვნებით გაეცნობიან.

**ვაჟა დანელია**



ჩემი ელექტრონული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ მილტონ ჰეიგთან

# მერე იტყოდნენ, გენიალური გადაწყვეტილება იყოო

**საქართველოს ნაკრებმა ივნისის ტესტებზე ოთხი შეხვედრა გამართა. აქედან მხოლოდ ერთი მოიგო, სამში კი დამარცხდა. ივნისის პირველ რიცხვებში, „თბილისის თასის“ დაწყების წინ, „ბორჯღალოსანთა“ თავკაცმა მილტონ ჰეიგმა განაცხადა, რომ თბილისის ტურნირზე ყველა მატჩის მოგებას გეგმავს და არც არგენტინაში აპირებს რამის დათმობას. არ გამოვიდა. ყოველივე ამას შვიდკაცა რაგბის ნაკრების ასპარეზობაც დაერთო მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელსაც წარმატებულს ვერაფრით დავარქმევთ. ივნისის თვის ბატალიებზე და მომავლის გეგმებზე საუბარი ჩვენი ეროვნული გუნდის ახალზელანდიელ მთავარ მწვრთნელს ვთხოვეთ.**



მილტონ ჰეიგი მოსკოვში

**- „თბილისის თასი“ ვერ მოვიგეთ, არგენტინაშიც დავმარცხდით, შვიდკაცა ნაკრებმაც მოსკოვში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე არსებული პოტენციალი სრულად ვერ გამოავლინა. რით შეიძლება აიხსნას ეს ყოველივე?**

- ამ სამ მოვლენას ცალ-ცალკე განვიხილავ. „თბილისის თასზე“ ზუსტად იმ ტაქტიკით ვითამაშეთ, როგორსაც ვგეგმავდით. სამწუხაროდ, თავი იჩინა სათამაშო დისციპლინის დაბალმა დონემ, რის გამოც ხშირად ვჯარიმდებოდით. ხელდახელ თამაშისასაც ხშირი იყო ტექნიკური ხარვეზი.

თავად განსაჯეთ, თბილისის ტურნირის მსვლელობისას, საშუალოდ მატჩში 12-დან 17-მდე ჯარიმას ვიღებდით. დაახლოებით იგივე სურათი იყო არგენტინასთან დაპირისპირებისასაც. ტესტ მატჩის მოგება ძალიან რთულია, როცა ამდენჯერ ჯარიმდები და ასეთი რაოდენობით ტექნიკური წუნი გაქვს. არგენტინასთან შვიდჯერ მარტო შერკინებისას დავჯარიმდით. სამხრეთ აფრიკის საპრეზიდენტო ნაკრებთან 15 საკუთარი დერეფნიდან მხოლოდ 3 მოვიგეთ.

სამწუხაროა, მაგრამ სამივე წაგებულ შეხვედრაში შეგვეძლო გამარჯვების მიღწევა. ყოველივეს ისიც დაერთო, რომ ბიჭებს აკლიათ თავდაჯერებულობა. ვერ იჯერებენ, ელიტური სარაგბო ქვეყნების გუნდების დამარცხება რომ შეუძლიათ. ახლა დეტალურად უნდა გავაანალიზოთ თითოეული მატჩი, რათა გავარკვიოთ, რაშია სირთულე, მატჩის რომელ მონაკვეთში უჭირს გუნდს ყველაზე მეტად.

**- ეს ყველაფერი ყველამ ვნახეთ და ცნობილია. ჩვენ გვაინტერესებს რა არის ამ ხარვეზების მიზეზი. შერკინებამ არგენტინაში მეტოქეს წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ხშირი ჯარიმები არ არის ერთეული შემთხვევა, ეს უკვე ტენდენციას ჰგავს. რატომ ხდება ასე?**

- ჯარიმების თაობაზე გეტყვით, რომ მოთამაშემ პირველ რიგში თავად უნდა გაუწიოს თავს კონტროლი, როგორც არ უნდა ვავარჯიშო გუნდურად, თამაშისას ყველა ინდივიდუალურად წყვეტს როგორ მოიქცეს. გუნდის თითოეულმა წევრმა თავად უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა და ყურადღებით გაისარჯოს.

შერკინების შემთხვევაში არც ასე მარტივადაა საქმე. ხშირად რომ ვჯარიმდებოდით ეგ ნამდვილია, თუმცა არის ეპიზოდები, როცა შეიძლება ხელები გაშალო და იკითხო - რატომ? მსაჯები, როცა პირველი დონის გუნდებს ვეთამაშებით, უფრო ხისტები არიან ჩვენ მიმართ. მათთვის ძნელია აღსაქმელად, რომ მეორე დონის გუნდმა შეიძლება პირველისას მოუგოს. ვერ წარმოუდგენიათ, ეს როგორ უნდა მოხდეს.

**- ხო მაგრამ, ეგ რა მსაჯის პრობლემაა. ჩვენ პირველი დონის გუნდს მოვუგებთ თუ არა, მათი გადასაწყვეტია?**

- სამწუხაროდ, ეგერე აზროვნებენ. ეს მარტო ჩვენს შემთხვევაში არ ხდება. ასეთი მაგალითები სხვაც ბევრია. მათთვის არალოგიკურია, რომ ბევრად სუსტმა გუნდმა შეიძლება ძლიერს მოუგოს. ჩემთვის მინიმუმ ოთხ შემთხვევაშია გაურკვეველი, არბიტრმა რატომ დაგვაჯარიმა. თუმცა სულ მთლად მასზე დაბრალებაც არ მინდა. ჩვიდმეტს რომ ეგ ოთხი ჯარიმა გამოაკლო, 13 დარჩება, რაც ასევე ძალიან ბევრია.

**- მოდით, ივნისის ტესტებისას არჩეულ სტრატეგიაზე ვისაუბროთ. „თბილისის თასის“ გათამაშების ბოლო ტურის წინ ეროვნული გუნდიდან რვა მოთამაშე მოიხსნა და სხვა სამ მორაგბესთან ერთად, რომლებიც ძირითადი შემადგენლობის წევრები არიან და ტურნირში მონაწილეობას არ იღებდნენ, არგენტინაში წინდაწინ გაემგზავრა. უნდა ვივარაუდოთ, რომ არგენტინასთან მატჩს „თბილისის თასთან“ შედარებით მეტი პრიორიტეტი მიენიჭა? ამასთან ერთად, ამით ხომ არ დაზარალდა შვიდკაცა რაგბის ნაკრების ინტერესებიც, რომელმაც უმნიშვნელოვანეს ტურნირზე, მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზა?**

- ივნისის დასაწყისში ჩვენ ოთხივე მატჩის მოგებას ვგეგმავდით. „თბილისის თასის“ პირველ მატჩში ირლანდიასთან მარცხის შემდეგ ტურნირის მოგება ეჭვქვეშ დადგა. ურუგვაისთან კი გავიმარჯვეთ, მაგრამ პრემიალური ქულა ვერ ავიღეთ, რაც ბოლო მატჩში საქმეს კიდევ უფრო გვირთულებდა.

არგენტინაში მოთამაშეთა ნაწილი ადრე იმიტომ გავაგზავნეთ, რომ აკლიმატიზაცია გაევლოთ და შანსი მიგვეცა, მატჩს კარგ მდგომარეობაში შეხვედროდნენ. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ პირველი ტაიმი მოვიგეთ, ისინი სხვებზე უკეთეს ფიზიკურ მდგომარეობაში იყვნენ. მთლიანად მატჩში რომ გაგვემარჯვა, მერე იტყოდნენ, ეს გენიალური გადაწყვეტილება იყოო. არადა, ეს მართლაც პირველი ხმაურიანი გამარჯვება იქნებოდა რაგბის ისტორიაში. მეორე დონის გუნდი უფრო მაღალი რანგის მეტოქეს პირველად დაამარცხებდა.

**- არგენტინის ნაკრებს უკვე ორჯერ მოვუგეთ პირველი ტაიმი. პირველად ეს 2011 წლის მსოფლიოს თასზე მოხდა, მაგრამ ორივე შემთხვევაში საბოლოოდ მაინც დავმარცხდით. რით შეიძლება ეს აიხსნას?**

- ამ მატჩებში საქართველოს ნაკრების თამაშის შედარება არ გამიკეთებია. ელიტურმა გუნდებმა იციან, რომ 50-60 წუთის განმავლობაში საქართველოს ნაკრების შეჩერება ძნელია, მაგრამ თუ ეს მოახერხეს, მერე მისი დამარცხება შესაძლებელია. საქართველოს ნაკრები დასკვნით 20 წუთში ველარაა ისე დალაგებული, როგორც მატჩის საწყის პერიოდში.

თუმცა არგენტინასთან მატჩში ბოლო 20 წუთშიც დალაგებულად ვითამაშეთ და მოგებაც შეგვეძლო. შეხვედრის შემდეგ, პრესკონფერენციაზე არგენტინელთა მწვრთნელმა აღნიშნა, რომ გაცილებით ძლიერ მეტოქესთან მოგვიაწია თამაშმა, ვიდრე ველოდითო. მატჩის ბოლომდე გაურკვეველი იყო, მოვახერხებდით თუ არა გამარჯვებასო. არგენტინელები გაკვირვებულნი იყვნენ. მათ ჩვენი რამდენიმე თამაში ჰქონდათ გაანალიზებული და რეალურად კი სულ სხვა სტილით მოთამაშე გუნდი იხილეს. ჩემთვის სასიამოვნო იყო მეტოქე გუნდის მწვრთნელისგან ასეთი სიტყვების მოსმენა.

**- თქვენ საქართველოს ნაკრებს შვიდკაცა რაგბის მსოფლიოს ჩემპიონატზეც ახლდით მოსკოვში. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ ჩვენი გუნდის ასპარეზობის ნახვისას?**

- მიმაჩნია, რომ შვდიკაცა რაგბის ნაკრებში ახალგაზრდა მორაგბეებმა უნდა ითამაშონ, სადაც დიდ გამოცდილებას მიიღებენ და საშუალება ექნებათ ეროვნული ნაკრების დონეს მიაღწიონ. ახალი ზელანდიის ნაკრების მწვრთნელები ჩემი მეგობრები არიან. მათ მზადების განსხვავებული მეთოდი აქვთ. ვისუბრეთ იმის თაობაზე, როგორ უნდა შევძლოთ განვითარება, როგორ უნდა მოხერხდეს შვიდკაცა რაგბის ნაკრების მოთამაშეების ინტეგრირება ეროვნულ ნაკრებში.

ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო დაკვირვება საქართველოს ნაკრების მოთამაშეებზე. როგორი იყო მათი დისციპლინა, როგორ ვარჯიშობდნენ, როგორ ემზადებოდნენ თითოეული მატჩის წინ. ამ მხრივ ნამდვილად კმაყოფილი ვარ. შვიდკაცა რაგბი საქართველოში რაგბის განვითარების პროგრამაში არ არის, თუმცა ის აუცილებლად უნდა შევიტანოთ. ვფიქრობ, შვიდკაცას განვითარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მთლიანად ქართული რაგბის განვითარების საქმეში.

**- ბოლოს მომავლის გეგმებზეც გკითხავთ. მომდევნო ტესტები საქართველოს ნაკრებს ნოემბერში აქვს. ბოლოს და ბოლოს, გაირკვა თუ არა, რამდენი მატჩი გვექნება სათამაშო და ვისთან?**

- უკვე დიდი ხანია გარკვეულია, რომ კანადისა და აშშ-ს ნაკრებები აუცილებლად გვეწვევიან. ეს ინფორმაცია IRB-მ ოფიციალურად დაადასტურა. ჩვენ მესამე ტესტის გამართვაც ვითხოვეთ და, სავარაუდოდ, მალე გადაწყდება, მეტოქე ვინ იქნება. ლაპარაკია სამი გუნდიდან (სამოა, ფიჯი, ტონგა) ერთ-ერთის ჩამოსვლაზე. ნებისმიერი მათგანის სტუმრობა ჩვენთვის ძალიან სასარგებლო იქნება. კანადასთან და ამერიკასთან კი ძველი ანგარიში გვაქვს გასასწორებელი.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ქართული კლუბები

# თბილისის ლოკომოტივმა პატრონი დაიბრუნა

**საქართველოს რკინიგზასა და ყველაზე ტიტულოვან ქართულ სარაგბო კლუბ, „ლოკომოტივს“ შორის სასპონსორო ხელშეკრულება გაფორმდა. ამ ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს რკინიგზა სრულ სასპონსორო მომსახურეობას გაუწევს თბილისის „ლოკომოტივს“. ხელშეკრულებაში მესამე მხარის სახით წარმოდგენილია საქართველოს რაგბის კავშირი, რომელიც საქართველოს რკინიგზას თავის სარეკლამო სივრცეს დაუთმობს.**




**გიორგი ნიჟარაძე,** საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:

*„რაგბის კავშირი მადლიერია საქართველოს რკინიგზისადმი ამ ნაბიჯის გადადგმისათვის. აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როდესაც საქართველოს სარაგბო კლუბები უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფებიან. რაგბის კავშირის მთელი ძალისხმევა მიმართულია კლუბებისათვის დაფინანსების მოძიებაზე სახელმწიფოსა თუ კერძო სექტორის მხრიდან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო და ბიზნესი მაქსიმალურად უნდა იყოს ჩართული ქართული რაგბისა და ზოგადად სპორტის მხარდაჭერაში. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ეს ხელშეკრულება გაფორმდა რკინიგზასა და მის წიაღში 1964 წელს აღმოცენებულ რაგბის კლუბ „ლოკომოტივს“ შორის. „ლოკომოტივს“ დიდი ისტორია აქვს და მან არაერთი მორაგბე აღუზარდა საქართველოს ეროვნულ ნაკრებს*

*საქართველოს რაგბის კავშირი ვალდებულებას ვიღებთ, ჩვენს ხელთ არსებული შესაძლებლობებიდან გამომდინარე, საქართველოს რკინიგზას დავუთმოთ სარეკლამო სივრცე, რათა აღნიშნული ხელშეკრულება კომპანიისათვისაც იყოს სარგებლის მომტანი.*

*ვიმედოვნებ, რომ სხვა ქართული კომპანიები მაგალითს აიღებენ საქართველოს რკინიგზიდან და ქართულ სარაგბო კლუბებს გვერდში დაუდგებიან, რაც ქართული რაგბის განვითარებისა და გადარჩენისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია.“*

**თემურ ბენდიაშვილი,** „ლოკომოტივის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და მთავარი მწვრთნელი:

*„ჩვენი კლუბი 60-იან წლებში რკინიგზის წიაღში წარმოიშვა და მას შემდეგ, რკინიგზასთან ერთად ბევრ წარმატებას მივაღწიეთ. სამწუხაროდ, ბოლო 15 წლის განმავლობაში ჩენი ურთიერთობა გაწყდა და ჩვენით, დიდი ვაივაგლახით ვახერხებდით არსებობას და კლუბის შენარჩუნებას.*

*პირადად დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს რკინიგზას ამ კოლოსალური მხარდაჭერისათვის. ჩვენ ბედნიერი ვართ, რადგან ისევ დავუბრუნდით ჩვენს წიაღს და ამიერიდან ერთად მივაღწევთ ახალ წარმატებებს, გავაძლიერებთ კლუბს, რითაც დიდ ძალას შევმატებთ ქართულ რაგბის და კიდევ მრავალ მორაგბეს აღვუზრდით ეროვნულ ნაკრებს.“*

**საქართველოს რაგბის კავშირის პრესსამსახური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# რაზე ჭორაობენ NBA-ში

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თავისუფალი აგენტების ბაზარი გაიხსნა და ყოველდღიურად უამრავი საინტერესო ჭორი ვრცელდება ამა თუ იმ კალათბურთელის მომავალი კარიერის შესახებ. რამდენიმეს დღეს გაგაცნობთ...


გრეგ ოდენი

## ნიუ ორლეანი: გულუხვი წინადადება ევანსს

პირველი ჭორი უკავშირდება "ნიუ ორლეანს", რომელმაც სახიფათო თამაში წამოიწყო - "საკრამენტოს" ნიჭიერ, მაგრამ არასტაბილურ მცველს **ტაირიკ ევანსს** 11-მილიონიანი ხელფასი შესთავაზა. დიად **რეჯი მილერს** ამ ახალ ამბავზე საინტერესო რეაქცია ჰქონდა: *"ნიუ ორლეანი" ტაირიკ ევანსს 4 წელიწადში 44 მილიონს აძლევს?! დროა, ვარჯიშებს დავუბრუნდე..."*

მეორე მხრივ, ევანსი ახალგაზრდაა და ჯერ ისევ პერსპექტიული, "კინგზში" მისი კარიერა არ აეწყო და იქნებ, სიტუაციის შეცვლამ გამოაცოცხლოს. და თუ ეს გარიგება შედგა, "პელიკანსის" უკანა ხაზი საკმაოდ პერსპექტიულ სახეს მიიღებს: **ჯრიუ ჰოლიდეი, ერიკ გორდონი**, ტაირიკ ევანსი, **გრეივის ვასკესი** და **ოსტინ რივერსი**. ბოლო ორს ისეთი კონტრაქტი აქვს, რომ შესაძლებელია, ამ კალათბურთელების სარფიანად გაცვლა.

გადაწყვეტილების მიღებამდე, ევანსი უნდა შეხვდეს "დეტროიტისა" და "ატლანტას" ბოსებს, მაგრამ რთული წარმოსადგენია, რომ "პელიკანსის" წინადადება რომელიმე გუნდმა გაიმეოროს.

## ოკლაჰომა: დორელ რაიტი კევინ მარტინის ნაცვლად

"ოკლაჰომა" შიშობს, რომ სულ მალე სახელფასო ბიუჯეტის ზღვარს გადააბიჯებს და ეს რომ არ მოხდეს, "თანდერის" ხელმძღვანელობას გუნდის შემადგენლობასთან კარგად მორგებული **კევინ მარტინის** გაშვება და უფრო იაფი კალათბურთელის მოძებნა მოუწევს, რომელსაც კარგი სროლა გააჩნია. ასეთია **დორელ რაიტი**, რომელიც კეი-მარტზე სამი წლით უმცროსია და ამ როლს თითქმის იდეალურად ერგება.

რაც შეეხება მარტინს, მას შეეძლო უკეთესი კონტრაქტის იმედი ჰქონოდა, ვიდრე ახლა მიიღებს. გარდა იმისა, რომ ბაზარი ძლიერი თავისუფალი აგენტებითაა გადატვირთული, ასევე მოქმედებს ახალი, უფრო მკაცრი ფინანსური წესები.

## გოლდენ სტეიტი: მშვიდობით, ჯეკ

როგორც ჩანს, "გოლდენ სტეიტი" უკვე შეეგუა **ჯარეტ ჯეკის** დაკარგვას. "უორიორზს" გადატვირთული აქვს სახელფასო ბიუჯეტი და "მეომრები" ვერ გაიმეორებენ იმ წინადადებას, რომელსაც ჯეკი ლიგის კლუბების ნახევარისგან მიიღებს. მიზეზი ისიცაა, რომ "გოლდენ სტეიტმა" თავის დროზე, არარეალური კონტრაქტები გაუფორმა **ანდრის ბიედრინშსა** და **რიჩარდ ჯეფერსონს**.

შემცვლელად კალიფორნიელები განიხილავენ **დარენ კოლისონს**, რომელსაც ნაწილობრივ შეუძლია იმის კომპენსირება, რასაც გუნდი ჯეკის წასვლით მიიღებს.

კოლისონის გაფორმებას შეიძლება ხელი შეუშალოს იმან, რომ "უორიორზს" ამ კალათბურთელისთვის სამ წელიწადში მხოლოდ 9.97 მილიონის შეთავაზება შეუძლია, ეს კი არ არის შეთანხმების გარანტია. სავსებით შესაძლებელია, რომ ვიღაცამ მეტი გადაიხადოს.

## ოდენს რიგი დაუდგა

NBA-ის ხუთი კლუბი მზად არის კონტრაქტი შესთავაზოს **გრეგ ოდენს**! სხვათა შორის, პრეტენდენტთა სია საკმაოდ სოლიდურია: "მაიამი", "სან ანტონიო", "მემფისი", "კლივლენდი" და "ბოსტონი". როგორც ჩანს, ჭორები იმის შესახებ, რომ დრაფტის ყოფილი პირველი ნომერი სრულად გამოჯანმრთელდა და კარგად იმუშავა საკუთარ თავზე, საფუძველს მოკლებული არ არის. ძალიან საინტერესო იქნება ამ კალათბურთელის კვლავ საქმეში ხილვა. ასეთი დაბრუნებები ხშირი არ არის და, როგორც წესი, იშვიათად მთავრდება კარგად. იმედია, ამჯერად, ოდენს გაუმართლებს.

## კირილენკოს პირველი ვარიანტი: სან ანტონიო

თუ ჭორებს დავუჯერებთ, საუკეთესო რუსი კალათბურთელით **ანდრეი კირილენკოთი** "სან ანტონიოა" დაინტერესებული. როგორც იცით, ფორვარდმა საკუთარი სურვილით თქვა უარი "მინესოტასთან" კონტრაქტის ბოლო წელზე, რათა რომელიმე კლუბთან გააფორმოს მრავალწლიანი ხელშეკრულება. სავსებით ლოგიკური არჩევანია, რადგან ეს, ალბათ, ბოლო კონტრაქტი იქნება კირილენკოს კარიერაში და დღეს მისი ავტორიტეტი ლიგაში ძალიან მაღალია. ამაზე მეტყველებს ბოლო ათწლეულის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის მხრიდან ინტერესი.

ამბები

## ბადინგერი მგლებში რჩება

"მინესოტა ტიმბერვულვზმა" სამწლიანი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა ფორვარდ **ჩეიზ ბადინგერთან**. ამ კალათბურთელის წლიური ხელფასი დაახლოებით 5 მილიონი დოლარი იქნება.

ბადინგერმა შარშანდელი სეზონიც "მგლების" რიგებში ჩაატარა და 23 მატჩში საშუალოდ 9.4 ქულა და 3.1 მოხსნა მიითვალა.

## არის სამმაგი ტრეიდი

"ლოს ანჯელეს კლიპერსმა", "ფინიქსმა" და "მილუოკიმ" სამმხრივ გაცვლაზე მოილაპარაკეს. ამ გარიგების თანახმად, **კერონ ბატლერი** და **ერიკ ბლედსოუ** "სანზის" რიგებში გადავლენ, **ჯეი ჯეი რედიკი** და **ჯარედ დადლი** "კლიპერსში" აღმოჩნდებიან, ხოლო "ბაქსი" მიიღებს მომავალი დრაფტის მეორე რაუნდში ორი კალათბურთელის არჩევის უფლებას.

ვარაუდობენ, რომ რედიკი ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს, რომლის ღირებულება 27 მილიონი დოლარი იქნება.

ასევე, ერთ-ერთი წყაროს ცნობით, "ფინიქსი" აპირებს ბლედსოუ სასტარტო ხუთეულში დააყენოს **გორან დრაგიჩთან** ერთად.

## ალენი ისევ მემფისში

"მემფის გრიზლისის" მცველმა **ტონი ალენმა** თავის ამჟამინდელ კლუბთან კონტრაქტის გაგრძელებაზე თანხმობა განაცხადა. ახალი ხელშეკრულების თანახმად, ალენი ოთხი წლის განმავლობაში 20 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

აღვნიშნავთ, რომ 2012-13 წლების სეზონის შედეგებით, ალენი NBA-ის საუკეთესო დამცველთა სიმბოლურ ხუთეულში შეიყვანეს. ამასთან, "მემფისის" მცველმა შესაბამის გამოკითხვაში ყველაზე მეტი ხმა მიიღო.

გასულ სეზონში ალენის საშუალო მაჩვენებლები იყო - 8.9 ქულა და 4.6 მოხსნა.

## მეინორი ვაშინგტონში ითამაშებს

"ვაშინგტონმა" შეთანხმებას მიაღწია მცველ **ერიკ მეინორთან**. ამ კალათბურთელმა გასული სეზონის მეორე ნახევარი "პორტლენდში" გაატარა და საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა **დამიენ ლილარდის** დუბლიორის როლში (დაახლოებით 7 ქულა და 4 პასი 20 წუთი სათამაშო დროში). ახლა, მას **ჯონ უოლის** შემცვლელის როლი ექნება. დედაქალაქურ კლუბთან მისი კონტრაქტის დეტალები არ გახმაურებულა.

# ჯინობილი და სპლიტერი რჩებიან


მანუ ჯინობილი

„სანანტონიოს" შემტევი მცველი **მანუ ჯინობილი**, რომელიც ამ ზაფხულს თავისუფალი აგენტი გახდა, ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს ტექსასურ კლუბთან. ამის შესახებ 35 წლის არგენტინელმა თავის „ტვიტერზე" დაწერა.

კონტრაქტის თანხის შესახებ არაფერს იტყობინებიან, თუმცა შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში მან 13 მილიონი დოლარი მიიღო. ადრე გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჯინობილი, რომელმაც NBA-ში მთელი თავისი კარიერა „სან ანტონიოს" რიგებში გაატარა, დიდი სპორტიდან წასვლას აპირებდა.

■ ■ ■

ასევე გახდა ცნობილი, რომ "სან ანტონიო სპურსმა" შეთანხმებას მიაღწია თავის ბრაზილიელ ცენტრთან **ტიაგო სპლიტერთან** ახალი, 4-წლიანი კონტრაქტის გაფორმებაზე. ამ ინფორმაციას Yahoo! Sports-ის ანალიტიკოსი **ედრიან ვოინაროვსკი** ავრცელებს.

სპლიტერი ოთხი სეზონის განმავლობაში 36 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

გასულ სეზონში, 28 წლის ცენტრმა 81 მატჩი ჩაატარა "სპურსის" შემადგენლობაში და საშუალოდ 10.3 ქულა და 6.4 მოხსნა დააგროვა.

ჰოკეი

# ოვეჩკინი ორ სიმბოლურში

ჰოკეის ეროვნული ლიგის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა გასული სეზონის ორი სიმბოლური ნაკრების შემადგენლობა. ექვსეულები შეადგინეს ჰოკეის პროფესიონალ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრებმა.


ალექსანდრ ოვეჩკინი

პირველი სიმბოლური ნაკრები შემდეგმა ჰოკეისტებმა შეადგინეს: მეკარე - **სერგეი ბობროვსკი** („კოლამბუსი"); მცველები - **პი კეი საბენი** („მონრეალი"), **რაიან სატერი** („მინესოტა"); ფორვარდები - **ალექსანდრ ოვეჩკინი** („ვაშინგტონი"), **სიდნი კროსბი** („პიტსბურგი"), **კრის კუნიტცი** („პიტსბურგი").

მეორე სიმბოლური ნაკრები ასე გამოიყურება: მეკარე - **ჰენრიკ ლუნდკვისტი** („რეინჯერსი"); მცველები - **ფრანსუა ბოშემენი** („ანაჰაიმი"), **კრის ლეტანგი** („პიტსბურგი"); ფორვარდები - **ჯონათან ტეივზი** („ჩიკაგო"), **მარტინ სან ლუი** („ტამპა ბეი"), **ალექსანდრ ოვეჩკინი**.

როგორც ხედავთ, „ვაშინგტონის" კაპიტანი ალექსანდრ ოვეჩკინი ორივე სიმბოლურში მოხვდა, რადგან სეზონის განმავლობაში როგორც მარჯვენა, ასევე მარცხენა ფლანგზე თამაშობდა.

ოვეჩკინი მეორე მოთამაშეა ისტორიაში, ვინც სიმბოლურ ნაკრებში სხვადასხვა პოზიციაზე თამაშისას მოხვდა. ადრე ეს შეძლო ლეგენდარულმა **მარკ მესიემ**.

# ლეკავალიე მფრინავებთან წავიდა

## პიტსბურგმა საუკეთესო მცველი შეინარჩუნა


ვენსან ლეკავალიე

ჰოკეის ეროვნული ლიგის ერთ-ერთმა წამყვანმა ფორვარდმა **ვენსან ლეკავალიემ**, რომელიც 5 ივლისიდან შეუზღუდავი თავისუფალი აგენტების ბაზარზე უნდა გასულიყო, "ფილადელფიის ფლაიერზთან" მრავალწლიანი კონტრაქტი გააფორა, - იტყობინება კლუბის ოფიციალური ვებგვერდი.

გარიგების ფინანსური დეტალები არ ხმაურდება, მაგრამ TNS-ის მონაცემებით, 33 წლის თავდამსხმელმა ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის ღირებულება 22.5 მილიონს შეადგენს.

შეგახსენებთ, რომ ლეკავალიე 14 წლის განმავლობაში თამაშობდა "ტამპა ბეის" შემადგენლობაში და ამ კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი ლიდერია ჩატარებული მატჩებისა (1037) და გოლების (383) რაოდენობით. 2006-07 წლების სეზონში, ლეკავალიე 52 გოლით რეგულარული სეზონის საუკეთესო სნაიპერი გახდა, 2004 წელს კი სტენლის თასი მოიპოვა.

■ ■ ■

"პიტსბურგ პინგვინზმა" მოახერხა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მცველის **კრის ლეტანგის** შენარჩუნება. მხარეებმა გუშინ გააფორმეს ახალი კონტრაქტი, რომელიც რვა წელი იქნება ძალაში და ამ დროის განმავლობაში ჰოკეისტი 58 მილიონ დოლარს (სეზონში - 7.25 მილიონი) გამოიმუშავებს. 26 წლის ლეტანგის მოქმედი კონტრაქტი 2014 წლის ზაფხულში იწურებოდა. ამ ხელშეკრულების თანახმად, კრისის ხელფასი წელიწადში 3.5 მილიონს უდრიდა.

გასულ რეგულარულ ჩემპიონატში ლეტანგმა 35 მატჩი ჩაატარა და 38 ქულა (5+33) დააგროვა, პლეი ოფის 15 მატჩში კი მისი მონაგარი 16 ქულა (3+13) იყო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. უიმბლდონი 2013

# კინაღამ სენსაცია

## ენდი მარეიმ 0:2-დან შემოაბრუნა მეოთხედფინალი

**როჯერ ფედერერისა** და **რაფაელ ნადალის** გავარდნის შემდეგ, წლევანდელ უიმბლდონზე ბევრი **ნოვაკ ჯოკოვიჩისა** და **ენდი მარეის** ფინალს ნატრობს, თუმცა გულშემატკივრებს გუშინდელი მეოთხედფინალებისას კინაღამ დაემსხვრათ ოცნების კოშკები, რადგან მარეი 0:2 ჩამორჩა სეტებში ესპანელ **ფერნანდო ვერდასკოს**.



დელ პოტრო მატჩის შემდეგ

პირველ სეტში გადამწყვეტი ბრეიკი ვერდასკომ მეათე გეიმში გააკეთა და ამაში მას მარეიც დაეხმარა, რომელმაც ესპანელის სეტბოლზე ორმაგი შეცდომა დაუშვა. მეორე პარტიაში პირველი ბრეიკი მარეიმ გააკეთა და 2:1 დაწინაურდა, მაგრამ ვერდასკომ მეექვსე გეიმში დაიბრუნა დაკარგული. ენდის სერიოზული პრობლემები ჰქონდა საკუთარ მოწოდებაზე და მერვე გეიმში ისევ მისცა მეტოქეს ბრეიკის საშუალება. დრამატულ მეცხრე გეიმში მასპინძელმა სამმაგი ბრეიკ-პოინტი მიილო, მაგრამ ვერდასკომ ზედიზედ ხუთი ქულა აილო და არა მხოლოდ გეიმი გადაარჩინა, არამედ სეტიც მოიგო - 6:3, რითაც შოკში ჩააგდო ცენტრალურ კორტზე შეკრებილი პუბლიკა. მარეი, რომელსაც ფერნანდოსთან ურთიერთშეხვედრებში 9:1 მოჰყავდა ანგარიში, თითქმის უშანსოდ აგებდა მეოთხედფინალს.

მესამე სეტი ბრიტანელმა ორმაგი შეცდომით დაიწყო, მაგრამ ეს აღმოჩნდა მისი ერთადერთი ჩავარდნა პარტიაში. ენდიმ ორი ბრეიკი აილო და მხოლოდ ერთი გეიმი მისცა ესპანელს. სამაგიეროდ, მეოთხე სეტში მარეის ისევ შეექმნა პრობლემები და პირველ და მესამე გეიმებში ოთხი ბრეიკ-პოინტის მოგერიებამ მოუწია. მასპინძელი ჩოგბურთელი გაუმკლავდა ნერვულ დაძაბულობას და 3:3-ზე, მეშვიდე გეიმში გადამწყვეტი ბრეიკი გააკეთა.

ვერდასკომ მეხუთე სეტი აგრესიულად დაიწყო და დიდი ხანი მილებაზე შანსს არ აძლევდა ფავორიტს. კვანძი მე-11 გეიმში გაიხსნა, როცა 20-დარტყმიანი გათამაშებით ენდიმ ბრეიკ-პოინტი მიიღო და ეს შანსი გამოიყენა, შემდეგ კი მატჩზე ჩაწოდებაც შეძლო.

მარეის კარიერაში ეს იყო მეშვიდე შემთხვევა, როცა მან 0:2-დან შეძლო მატჩის ბედის თავის სასარგებლოდ შემოტრიალება. უიმბლდონზე მან ეს მეორედ გააკეთა - პირველად 2008 წელს, ფრანგი **რიშარ გასკეს** წინააღმდეგ.

ბრიტანელი ჩოგბურთელი ზედიზედ მეხუთედ გავიდა უიმბლდონის ნახევარფინალში და იქ პოლონელ **იერჟი იანოვიჩს** შეხვდება, რომელიც კარიერაში მხოლოდ მეხუთე „დიდი სლემს“ თამაშობს და ოთხ საუკეთესოს შორის პირველად გააღწია.

იანოვიჩს საკმაოდ ნერვული მატჩი ჰქონდა თანამემამულე **ლუკაშ კუბოტის** წინააღმდეგ, თუმცა მაინც მოახერხა სამ სეტში მოგება - 7:5, 6:4, 6:4. აღსანიშნავია, რომ ეს იყო იერჟისთვის მე-40 გამარჯვება პროფესიულ ტურში. პოლონელი 22 წლის და 236 დღისაა და ასე ახალგაზრდა ასაკში, უიმბლდონის ნახევარფინალში 2009 წლის შემდეგ არავის უთამაშია.

იანოვიჩმა თითო სეტში თითო ბრეიკი გააკეთა, მის მეტოქეს კი მთელი მატჩის განმავლობაში ექვსი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ ვერც ერთი ვერ გამოიყენა. ასევე აღსანიშნავია იანოვიჩის 30 ეისი და 58 „ვინერსი“. ამ მოგებით მან გაინაღდა ახალ რეიტინგში ადგილი ტოპ-ოცეულში.

რაც შეეხება მარეისა და იანოვიჩის ურთიერთშეხვედრებს, ანგარიშია - 1:1. პოლონელმა ბრიტანელი შარშან, პარიზის მასტერსზე დაამარცხა.

■ ■ ■

მეორე ნახევარფინალში სუპერწყვილი მივიღეთ - ნოვაკ ჯოკოვიჩი **ხუან მარტინ დელ პოტროს** წინააღმდეგ.

შემთხვევით არ ამბობდა წინა მატჩის მოგების შემდეგ სერბი - ახლა, უფრო კარგად ვთამაშობ, ვიდრე 2011 წლის უიმბლდონზე, როცა ტიტული მოვიგეო. ჯოკოვიჩმა ჩეხი **ტომაშ ბერდიხის** წინააღმდეგ ძალიან დამაჯერებელი თამაში აჩვენა და ორ საათსა და 15 წუთში 7:6(5), 6:4, 6:3 მოიგო.

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა საწყის სეტში ოთხი ბრეიკ-პოინტის გამოყენება ვერ შეძლო და ტაი-ბრეიკის თამაშმა მოუწია, სადაც მცირე უპირატესობას მიაღწია - 7:5. ნოვაკს ერთადერთი ჩავარდნა მატჩში მეორე სეტის სტარტზე ჰქონდა, ბერდიხი ორმაგი ბრეიკით დაწინაურდა - 3:0 (ჩეხს მთელი მატჩის განმავლობაში ორი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა და ორივე გამოიყენა). მაგრამ, მომდევნო შვიდ გეიმში სერბმა სამი ბრეიკის აღება მოასწრო და 6:4 მოიგო, მესამე სეტის მოსაგებად კი მეტოქის მოწოდების ერთხელ აღებაც საკმარისი აღმოჩნდა და ჯოკოვიჩი ზედიზედ მეოთხედ გავიდა უიმბლდონის ნახევარფინალში.

სერბმა შეხვედრა 16 ეისითა და 38 „ვინერსით“ დაასრულა და ბერდიხთან ურთიერთშეხვედრებში 14:2 წაიყვანა ანგარიში.

რაც შეეხება **ხუან მარტინ დელ პოტროსა** და **დავიდ ფერერის** შეხვედრას, ის ძალიან ჰგავდა ჯოკოვიჩისა და ბერდიხის დაპირისპირებას. აქაც, მატჩი ორი საათი და 15 წუთი გაგრძელდა, ნაგებულ ჩოგბურთელს ორი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, თუმცა მისი გამოყენება ფერერმა ვერ შეძლო, ჩატარდა ერთი ტაი-ბრეიკი და ის ასევე 7:5 დასრულდა. განსხვავება კი ის იყო, რომ დელ პოტრომ სამი ბრეიკი გააკეთა (ჯოკოვიჩმა - ოთხი) და ნოვაკზე ერთით ნაკლები გეიმი წააგო.

მოკლედ, არგენტინელი იმდენად დამაჯერებლად გამოიყურებოდა, რომ BBC-ზე მატჩის კომენტატორმა, ლეგენდარულმა ამერიკელმა **ჯონ მაკინროიმ** აღნიშნა, რომ დღევანდელი დელ პოტრო ძალიან ჰგავს ოთხი წლის წინანდელს, რომელმაც აშშ-ის ღია პირველობა მოიგო.

ჯოკოვიჩი და დელ პოტრო მეთორმეტედ შეხვდებიან ერთმანეთს. სერბი წინ არის - 8:3, მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ შარშან, უიმბლდონის კორტზე არგენტინელმა ლონდონის ოლიმპიადის მე-3 ადგილისთვის მატჩი მოუგო სერბს, მათი ბოლო შეხვედრაც (წელს, ინდიან უელსის ნახევარფინალში) დელ პოტროს გამარჯვებით დასრულდა.

### 1/4 ფინალი

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 7) 7:6(5), 6:4, 6:3; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 8)**-დავიდ ფერერი (ესპ, 4) 6:2, 6:4, 7:6(5); **იერჟი იანოვიჩი (პოლ, 24)**-ლუკაშ კუბოტი (პოლ) 7:5, 6:4, 6:4; **ენდი მარეი (ბრიტ, 2)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ) 4:6, 3:6, 6:1, 6:4, 7:5.

### 1/2 ფინალი

ჯოკოვიჩი (1)-დელ პოტრო (8); იანოვიჩი (24)-მარეი (2).

# ფლიპკენსი: ექიმებმა ჩემს კარიერას ხაზი გადაუსვეს

უიმბლდონის ქალთა ტურნირის ერთ-ერთ სენსაციად მონათლა ნახევარფინალში ბელგიელი **კირსტენ ფლიპკენსის** წარმატება. მან მეოთხედფინალში 2011 წლის ჩემპიონი, ჩეხი **პეტრა კვიტოვა** დაამარცხა (4:6, 6:3, 6:4) და კარიერაში პირველად გავიდა "დიდი სლემის" ტურნირის ნახევარფინალში. თავის დროზე, ფლიპკენსი იუნიორებს შორის უიმბლდონისა და აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონი იყო, მაგრამ აქამდე, პროფესიულ დონეზე "დიდი სლემის" ჩემპიონატებში მერვედფინალზე შორს არ წასულა.

კვიტოვასთან მატჩის შემდეგ ფლიპკენსმა განაცხადა, რომ მსგავსი წარმატების მიღწევა ექიმების ნების საწინააღმდეგოდ მოახერხა.

*"კარიერაში ბევრი აღმასვლა და დაცემა მქონია. ბევრი ტრავმაც გადავიტანე. განსაკუთრებით მაშინ, როცა იუნიორებიდან პროფესიონალებში გადავდიოდი. მე იუნიორებს შორის ჩემპიონი ვიყავი, მაგრამ ერთი წლის შემდეგ, ზურგის სერიოზული ტრავმა მივიღე. ყველა ექიმი ერთხმად ამბობდა, რომ ნორმალურ კარიერაზე არც უნდა მეოცნება. მაგრამ მე იმ სპორტსმენთა კატეგორიას არ ვეკუთვნი, რომლებიც სწრაფად ყრიან ფარხმალს. ვაგრძელებ ბრძოლას"*, - ამბობს ფლიპკენსი.



კირსტენ ფლიპკენსი

მეოთხედფინალში მოგების შემდეგ, კირსტენმა მადლობა გადაუხადა თავის ლეგენდარულ თანამემამულეს **კიმ კლაისტერსს**, რომელიც ეხმარებოდა ფლიპკენსს უიმბლდონისთვის მზადებაში.

ქალების ნახევარფინალები დღეს გაიმართება და კირსტენ ფლიპკენსი ფინალში გასასვლელად ფრანგ **მარიონ ბარტოლის** შეხვდება. 2007 წელს, სწორედ ბარტოლიმ არ გაუშვა ფინალში **ჟუსტინ ანენი**. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი იყო ბოლო ბელგიელი უიმბლდონზე, რომელმაც ნახევარფინალში ითამაშა. ახლა, მისი შედეგი ფლიპკენსმა გაიმეორა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **UNDER 20** | |
| ხორვატია-ჩილე | 0:2 |
| პორტუგალია-განა | 2:3 |
| კოლუმბია-კორეა | 1:1 პენ. 7:8 |
| ერაყი-პარაგვაი | 0:0 დ.დ. 1:0 |
| **ევროპის ლიგა** | |
| **I საკვ. I მატჩი** | |
| ფუგლაფიორდური-ლინფილდი | 0:2 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ვეილე-სონდერიისკი | 0:0 |
| კოპენჰაგენი-ტრელებორგი | 6:1 |
| პლზენი-ფიურტი | 0:1 |
| ლეხი-ვისლა | 3:1 |
| მიდტიულანდი-კილი | 2:0 |
| დიორი-სლოვაცკო | 1:1 |
| კრასნოდარი-მაკაბი (თ-ა) | 1:0 |
| სპარტაკი-შახტარი | 2:0 |
| გაზ მეთანი-დიოშდიორი | 3:0 |
| მარიბორი-კაიზერი | 0:7 |
| რუბინი-ტრიგლავი | 2:0 |
| ურალი-კრილია | 1:3 |
| ბოხუმი-ოდენსე | 2:1 |
| მიუნხენი-ტერეკი | 0:3 |
| ბაბელსბერგი-უნიონი | 3:5 |
| ფლენსბურგი-ჰანოვერი | 0:4 |
| ლივინგსტონი-დინამო (ბ) | 0:3 |
| ოსნაბრიუკი-ბრონდბიუ | 1:1 |
| ვაალვიკი-ჰევერლე | 1:3 |
| სევასტოპოლი-სელტიკი | 1:0 |
| დინამო (კ)-ზენიტი | 3:3 |
| ოუდენაარდე-ბრიუგე | 2:3 |
| მორტონი-შეფილდი | 0:1 |
| უნივერსიტი-პიტებრო | 2:2 |
| **ნორვეგიის თასი** | |
| ჰაუგესუნ.-ბოდო გლიმტი | 1:1 პენ.5:3 |
| მიოლდე-მიონდალენი | 2:0 |
| **ისლანდია** | |
| აკრანესი-ტორი | 1:2 |
| ვიკინგური-ფილკირი | 0:0 |
| ჰაფნარი-ფრამი | 2:1 |
| **პერუ** | |
| რეალ გარსილასო-უნ. დე დეპორ. | 2:1 |
| **კორეა** | |
| განგვონი-ბუსანი | 2:2 |
| ჟეონბუკი-სეონგნამი | 2:3 |
| დაეგუ-გიეონგნამი | 3:2 |
| პოჰანგი-სეული | 1:0 |
| სუვონი-დაეჟეონი | 3:1 |
| ულსანი-ჩუნამი | 3:1 |

TV პროგრამა

**4 ივლისი. ხუთშაბათი**

**I არხი**

18:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. I საკვალიფიკაცია ეტაპი. ჩიხურა-ვადუცი. I მატჩი (LIVE).
21:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. I საკვალიფიკაცია ეტაპი. ქუთაისი-ჟილინა. I მატჩი (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ევროპის ლიგა. ლაციო-ბორუსია (მ).
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ბაიერნი.
14:00 სეზონის მიმოხილვა. გერმანიის ჩემპიონატი - დორტმუნდი.
16:00 გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-აინტრახტი.
18:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ლივერპული.
21:00 სეზონის მიმოხილვა. გერმანიის ჩემპიონატი - ბაიერნი.
23:00 არგენტინის ჩემპიონატი. ველეს სარსფილდი-ნიუელსი.
01:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შალკე.
12:00 კალათბურთი. ევროლიგა. კახა ლაბორალი-ხიმკი.
14:00 სპორტ-NEWS.
14:30 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ახალი გენერაცია. II ნაწილი.
15:30 ჩოგბურთი. უიმბლდონი. 1/2 ფინალი. ქალები. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ბრიტანეთი.
15:00 საჩოგბურთო მიმოხილვა.
16:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი. 1/2 ფინალი. ქალები. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).

კრივი

# პოვეტკინს პაკიაოს მწვრთნელი მოამზადებს

როგორც უკვე ვწერდით, სუპერმძიმე წონაში უკრაინელ **ვლადიმერ კლიჩკოსა** და რუს **ალექსანდრ პოვეტკინს** შორის საჩემპიონო შეხვედრა ხუთი ოქტომბრისთვის ოფიციალურად დაინიშნა. გუშინ ცნობილი გახდა იმის შესახებ, რომ აღნიშნული ბრძოლისთვის რუს მოკრივეს სახელგანთქმული ამერიკელი მწვრთნელი **ფრედი როუჩი** მოამზადებს.

*"კლიჩკოსთან ბრძოლისთვის პოვეტკინს ფრედი როუჩი გაწვრთნის,* - დაწერა თავის "ტვიტერზე" რუსეთის პროფესიული კრივის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ანდრეი რიაბინსკიმ**. - *ის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია მსოფლიოში. ჯერჯერობით ჩვენ ამ ბრძოლისთვის თანამშრომლობაზე შევთანხმდით. შემდეგ ვნახოთ რა იქნება".*

როუჩი ამჟამად ფილიპინელი **მენი პაკიაოს** მწვრთნელია. გარდა ამისა, მას ისეთ ცნობილ მოკრივეებთან უმუშავია, როგორებიც არიან **მაიკ ტაისონი, ამირ ხანი** და **ოსკარ დე ლა ჰოია**. თავის დროზე, ის ვლადიმერ კლიჩკოს კონსულტანტიც იყო.



ალექსანდრ პოვეტკინი

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი 2013

**V ეტაპი**

**კან სიურ მერი-მარსელი**

1. **მარკ კევენდიში** (ბრიტ, Omega Pharma-Quick Step) - 5:31.51; 2. **ედვალდ ბოასონ ჰაგენი** (ნორ, Team Sky) - იგივე დრო; 3. **პეტერ საგანი** (სლოვაკ, Cannondale) - იგივე დრო; 4. **ანდრე გრაიპელი** (გერ, Lotto-Belisol) - იგივე დრო; 5. **რობერტო ფერარი** (იტა, Lampre-Merida) - იგივე დრო; 6. **ალექსანდრ კრისტოფი** (ნორ, Team Katusha) - იგივე დრო...

**საერთო ჩათვლა**

1. **საიმონ გერანსი** (ავსტრა, Orica-GreenEdge) - 18:19,15; 2. **დერილ იმპი** (ს. აფრ, Orica-GreenEdge) - იგივე დრო; 3. **მიხაელ ალბაზინი** (შვეიც, Orica-GreenEdge) - იგივე დრო; 4. **მიხალ კვიატკოვსკი** (პოლ, Omega Pharma-Quick Step) - +0.01; 5. **სილვენ შავანელი** (საფ, Omega Pharma-Quick Step) - იგივე დრო; 6. **ედვალდ ბოასონ ჰაგენი** (ნორ, Team Sky) - +0.03; 7. **კრისტოფ ფრუმი** (ბრიტ, Team Sy) - იგივე დრო; 8. **რიჩი პორტი** (ავსტრა, Team Sky) - იგივე დრო; 9. **ნიკოლას როში** (ირლ, Saxo-Tinkoff) - +0.09; 10. **რომან კროიციგერი** (ჩეხ, Saxo-Tinkoff) - იგივე დრო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ოლიმპიზმი



დოკუ უმაროვი

# დოკუ უმაროვი: სოჭში 2014 არ უნდა ჩატარდეს

ჩეჩნეთის ბანდფორმირებათა ერთ-ერთმა ლიდერმა **დოკუ უმაროვმა** თავის მიმდევრებს მოუწოდა - არ დაუშვან 2014 წელს სოჭში ზამთრის ოლიმპიადის ჩატარება.

უმაროვი, რომელიც ასევე ცნობილია დოკა აბუ უსმანის სახელით, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული ბოევიკების მეთაურად მიიჩნევა. მას არაერთხელ განუცხადებია, რომ რუსეთის ტერიტორიაზე ტერაქტების ორგანიზება და სისრულეში მოყვანა მისი პირადი ბრძანებით მოხდა. 2007 წლის ოქტომბერში უმაროვმა საკუთარი თავი არარსებული სახელმწიფოს - კავკასიის საამიროს ემირად გამოაცხადა.

როგორც სააგენტო "კავკას-ცენტრი" იტყობინება, უმაროვმა გაავრცელა მიმართვა, რომელშიც მოუწოდებს, არ დაუშვან 2014 წლის ოლიმპიადის გამართვა. მისი თქმით, კავკასიის საამიროს ინიციატივა - რუსეთის ტერიტორიაზე საბრძოლო ოპერაციების შეჩერებაზე, მოსკოვმა არა როგორც კეთილი ნება, არამედ სისუსტის გამოვლენად აღიქვა. უმაროვი ამბობს, რომ ამიერიდან რუსეთის ტერიტორიაზე საპასუხო დარტყმებს განახორციელებს და მოუწოდებს მოჯაჰედებს, არ დაუშვან *"რუსეთის მიერ სოჭში მოკლული კავკასიელების ძვლებზე ოლიმპიადის ჩატარება"*.

სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, მიმართვის ვიდეო განთავსებულია ერთ-ერთ ექსტრემისტულ ვებგვერდზე.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ფორმულა 1. ინტერვიუ კიმი რაიკონენთან

# წინასწარ არაფერს გპირდებით

**უახლოეს უქმეებზე, ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიის გრანპრი გაიმართება. უცნაურია, მაგრამ ფაქტია - გერმანიაში არასოდეს გაუმარჯვია "ლოტუსის" ფინელ პილოტს კიმი რაიკონენს. მან ეს ვერც "მაკლარენში" და ვერც "ფერარიში" ყოფნისას შეძლო. მეცხრე ეტაპის წინ, რომელსაც ნიურბურგრინგი უმასპინძლებს, ფინელი გერმანიაში თავის ძველ გამოსვლებს იხსენებს და მომავალ რბოლაში დასახულ მიზნებზე საუბრობს...**

**- აქამდე რატომ არ გიმართლებდათ გერმანიაში?**

- არ ვიცი, შესაძლოა, წინა ცხოვრებაში რაღაცას არასწორად ვაკეთებდი. ყოველთვის მომწონდა გერმანიაში გამოსვლა, მაგრამ პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ იღბალი არასოდეს იყო ჩემს მხარეს და ყოველთვის რაღაც ხელს მიშლიდა გამარჯვების მიღწევაში. ოთხჯერ მოვიგე პოული, ასე რომ, აქაურ ტრასაზე სიჩქარის ჩვენება შემიძლია, მაგრამ იყო ექვსი გამოვარდნაც - ეს ის შედეგი არ არის, რისი იმედიც მქონდა.

**- გერმანიის ტერიტორიაზე 16 რბოლაში გაქვთ მიღებული მონაწილეობა, მაგრამ არასოდეს ყოფილხართ პირველი. ამჯერად, რას აკეთებთ იმისთვის, რომ წარმატებას მიაღწიოთ?**

- ეს არის, უბრალოდ, ერთი რიგითი რბოლა, რომელშიც მაქსიმუმის მიღწევას ცდილობ. რა თქმა უნდა, ადრე ორივე გერმანული ტრასა - "ნიურბურგრინგი" და "ჰოკენჰაიმი" არ იყო ჩემ მიმართ კეთილგანწყობილი, მაგრამ ორივე მომწონს და თუ სიჩქარეზე ვილაპარაკებთ, ყოველთვის კონკურენტუნარიანი ვიყავი. ადრე შესანიშნავად გამოვდიოდი "ნიურბურგრინგზე", ერთხელ კინაღამ მოვიგე. რამდენჯერმე მაშინ გამოვეთიშე დისტანციას, როცა ლიდერი ვიყავი. ასეთ დღეებში შინ არც ისე კარგ ხასიათზე ვბრუნდებოდი. იმედია, ახლა, ყველაფერს სწორად გავაკეთებ. ერთი წლის წინ "ჰოკენჰაიმზე" სამეულში მოვხვდით, ასე რომ, ვნახოთ, რა მოხდება "ნიურბურგრინგზე", სადაც პირველად გამოვალ "ლოტუსის" ბოლიდით.



კიმი რაიკონენი

**- რა შეგიძლიათ თქვათ "ნიურბურგრინგის" ტრასაზე?**

- ეს კარგი ტრეკია, მაგრამ, სავარაუდოდ, ისეთი საინტერესო აღარ არის, როგორც ძველი კონფიგურაცია. ის აწყობს ჩვენს გუნდს, მაგრამ ფაქტი იმაში მდგომარეობს, რომ გჭირდებათ სწრაფი მანქანა იმისთვის, რათა კონკურენტუნარიანი იყოთ. პირველ რიგში, აუცილებელია წინა საბურავებით ტრასასთან მაღალი მოჭიდება მოსახვევებიდან გამოსვლისას და სტაბილურობა დამუხრუჭების დროს. ამ მიმართულებით საკმაოდ ძლიერები ვართ. გუნდს პრობლემები ექმნება დაბალ ტემპერატურაზე და სამწუხაროდ, "ნიურბურგრინგზე" ყოველთვის არ ცხელა, მაგრამ ვნახოთ რა იქნება ამჯერად.

**- რა მიზანს ისახავთ ამ უქმეებზე?**

- წინასწარ არავის არაფერს ვპირდებით. პოდიუმი პოზიტიური შედეგი და სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი იქნება. ჩვენ ეს ვერ შევძელით სილვერსტოუნში, ასე რომ, კარგი იქნებოდა წამყვან პოზიციებზე დაბრუნება. სეზონი გრძელია და ჩემპიონატის ლიდერები გვისწრებენ. სინამდვილეში, ყოველ რბოლაში ვაკეთებთ მაქსიმუმს, რაც ჩვენს ძალებშია.

**- შეგიძლიათ გვითხრათ თქვენი ახალი ვარცხნილობის შესახებ?**

- არა, მაგრამ თუ გერმანიაში პოდიუმზე ავალ, ყველა ერთად იხილავთ მას.



# ფორმულა 1 მოსკოვსაც მოუნდა

მოსკოვის მთავრობა "ვნუკოვოს" აეროპორტთან ახლოს ფორმულა 1-ის ტრასის მშენებლობას გეგმავს. თანამედროვე ავტოდრომი 2016 წლისთვის უნდა ამოქმედდეს.

მოსკოვის მერიის წარმომადგენელთა თქმით, აეროპორტის ახლოს იგეგმება აეროპოლისის მშენებლობა, რომლის საერთო ფართობი 80 ჰექტარი იქნება. აქ განთავსდება საგამოფენო კომპლექსები, სავაჭრო და საოფისე ცენტრები, აგრეთვე სარბოლო ტრეკი.

*"ამ ტრასაზე შესაძლებელი იქნება ფორმულა 1-ის ეტაპის ჩატარება. დანარჩენ დროს კი მას გამოიყენებენ ავტომოყვარულები და ავტოსპორტის სხვა შეჯიბრებების ორგანიზატორები"*, - წერია ოფიციალურ განცხადებაში.

როგორც ირკვევა, ინვესტორის როლში თავად "ვნუკოვოს" აეროპორტი გამოდის. ტრასის მშენებლობა 2014 წელს უნდა დაიწყოს. შეგახსენებთ, რომ გაისად, რუსეთში პირველად გაიმართება ფორმულა 1-ის ეტაპი. მას სოჭში მშენებარე ავტოდრომი უმასპინძლებს.

ჩინეთის, ისრაელის და ამერიკის სახალხო მედიცინის აკადემიის წევრი, პროფესორი



ბიჭიკო ასკურავა

მკურნალობს: ქირურგიული ჩარევის გარეშე, ეფექტურად და უმტკივნეულოდ არჩენს სხვადასხვა სახის მოტეხილობას, ნაღრძობს, მენისკს, ოსტეოქონდროზს, პოდაგრას და სახსრების დაავადებას.

მსოფლიოს ორთოპედია უმეტესობა დარწმუნებულია ბიჭიკო ასკურავას მეთოდის ეფექტურობაში, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება არსად!

მის.: ქ. თბილისი, ლესელიძის 25/ივერიის 5.
ტელ.:(+995 32)299-96-94; (+995 32)298-86-84; (+995 32)298-79-95;
მობ.:(+995 77)41-19-11




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (577 74 89 21), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:25. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608